პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 143 (9611) | პარასკევი, 19 ივნისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ხალხთა მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების ძლიერების წყაროა — **მოწინავე** (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
ს. არღუნელი. — ბარაქა მათ მარჯვენას! (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — აღმოვფხვრათ ფორმალიზმი კომუნისტების პოლიტიკური სწავლების საქმეში (მე-2 გვერდი).
ნ. კეცხოველი. — აღვუზარდოთ სამშობლოს მაღალკვალიფიციური კადრები (მე-2 გვერდი).
ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).
ამერკავკასიის რესპუბლიკების ფეატრალური საზოგადოებათა გაერთიანებული სესია (მე-2 გვერდი).
საყოფაცხოვრებო თემაზე. — მივაწოდოთ მომხმარებელს მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია (მე-3 გვერდი).
მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
თბილისი (მე-4 გვერდი).

ხალხთა მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების ძლიერების წყაროა

ჩვენს დიად სამშობლოში, სადაც სამოცზე მეტი ერი და ეროვნება ჯგუფია, საერთო სოციალისტური ინტერესებით შეკავშირებული ხალხები ფიდეს ძალად აერთებენ თავიანთ ნებასა და შესაძლებლობებს სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის აყვავებლად. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ყველა ხალხთა სამსახურში ჩადგა ჩვენი ფალეულუფლედენი სამშობლოს ბუნებრივი სიმდიდრეები. საბჭოთა კავშირის ყველა მხარესა და რაიონში შეიქმნა და განვითარდა სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სამრეწველო საწარმოებით და მსხვილი კოლექტიური მეურნეობებით მოიფინა ფიდესაც უდაბური მხარეები. სწრაფად განვითარდა ჩამორჩენილი რესპუბლიკებისა და ოლქების მრეწველობა, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობა. მივარდნილ მხარეებში გაყვანილ იქნა რკინიგზები და საავტომობილო გზები, გაიხსნა დაწყებითი და საშუალო სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები. ეროვნულ რესპუბლიკათა ხალხების ენებზე გამოდის უთვალავი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, დაარსდა თეატრები, შეიქმნა სამეცნიერო და კულტურული მუშაობის კერები.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის საფუძველზე, ფიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით ჩვენი ქვეყნის წინათ ჩამორჩენილი აღმოსავლეთი ნაწილი მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკებად გადაიქცა. მაგალითად, მაშინ, როცა მთლიანად სსრ კავშირში მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1928 წლიდან 1951 წლამდე 16-ჯერ გაიზარდა, მისი აღმოსავლეთის რესპუბლიკების — უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის მსხვილი მრეწველობის პროდუქცია ამავე პერიოდში 22-ჯერ გაიზარდა. ამ რესპუბლიკათა საკოლმეურნეო სოფლებში დამკვიდრდა თანამედროვე ტექნიკა, დაინერგა მოწინავე აგრონომიული მეცნიერების უახლესი მიღწევები. ამყამად აღნიშნული რესპუბლიკების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მუშაობს 121 ათასი ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაყვანით, 23 ათასი კომბაინი, 102 ათასი ბამბის სათესი, დასამუშავებელი და საკრეფი მანქანა და ასეულ ათასობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი.

სულ უფრო იზრდება და ვითარდება საქართველოს სსრ რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ხუთწლედების მანძილზე წარმოიშვა შავი მეტალურგიის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოება, მანქანათმშენებლობა, მძლავრი ენერგეტიკული ბაზები, ნავთობგადამუშავება, უმაგალითოდ გაფართოვდა ქვანახშირის მრეწველობა, შეიქმნა სარწყავი სისტემები, აყვავდა მოწინავე ტექნიკითა და აგრონომიული მეცნიერების მიღწევებით შეიარაღებული სოფლის მეურნეობა. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მზადდება რთული ჩარხები და საფეიქრო დანადგარები. საბჭოთა საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, თბილისის ჩარხმშენებელი და მანქანათმშენებელი ქარხნები, თბილისის საფეიქრო საწარმოები და გორის საფეიქრო კომბინატი, მძლავრი ელექტროსადგურები, მაღაროები და მაბტები, სამგორის სარწყავი სისტემა, მრავალრიცხოვანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, სოციალისტური სოფლის მეურნეობა თავისი მრავალფეროვანი დარგებით — ჩაით და სხვა სუბტროპიკული კულტურებით, მევენახეობით და მეხილეობით, მეაბრეშუმეობით, მესაქონლეობით.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში სსრ კავშირის ერებმა ძირეულად შეიცვალეს სახე. ჩვენი ქვეყნის ყველა ერი გადაიქცა მოწინავე სოციალისტურ ერად, რომელსაც აქვს მოწინავე სახალხო მეურნეობა და კულტურა. ხალხთა მეგობრობის ვითარებაში განვითარებული ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და საქონელბრუნვა საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის მტკიცე საფუძველი გახდა.

რაც დრო გადის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა სულ უფრო ვითარდება და მტკიცე ხდება. მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ მეგობრობის შესუსტება. ამ მეგობრობის ძალა საბჭოთა ადამიანებმა არაერთხელ გამოსცადეს როგორც მშვიდობიანი მშენებლობის, ისე ომიანობის დროს. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ სანამ ხალხთა მეგობრობა ცოცხლობს და იმარჯვებს, ჩვენთვის საშიში არ არიან არც შინაური და არც გარეშე მტრები.

ხალხთა მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს მოძმე ერების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ხელოვნების მუშაკთა და სასწავლებელთა შორის არსებული ურთიერთობა. იგი გამოიხატება ურთიერთშორის სოციალისტური შეჯიბრებითა და გამოცდილების გაზიარებით, ურთიერთდახმარებით, მეგობრული მიმოწერით.

ქართველ მეტალურგთა და მანქანათმშენებელთა პირველი კადრები აღიზარდნენ რუსეთისა და უკრაინის დიდ საწარმოებში. ერთმანეთს ეჯიბრებიან და გამოცდილებას უზიარებენ რუსი, უკრაინელი, ქართველი და აზერბაიჯანელი მეტალურგები, ზაპოროჟიელი, რუსთაველი, სუმგაიტელი მეფოლადეები, თბილისის კიროვის სახელობის ქარხნისა და ერევნის ძერჟინსკის სახელობის, თბილისის კიროვის სახელობისა და კრასნოდარის სედინის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნების კოლექტივები, ქართველი და უკრაინელი მეშახტეები, მაღაროელები, კოლმეურნეები და კულტურის მუშაკები. სისტემატური მიწერ-მოწერა და შეჯიბრება აქვთ გაჩაღებული ჭიათურელ და ნიკოპოლელ მაღაროელებს, გენიჩესკელ და მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეებს, ნატანებელ და ფოქრშაღრიარელ კოლმეურნეებს. ისინი დროდადრო ადგილზე ეცნობიან ერთმანეთის წარმატებებს, განამტკიცებენ ურთიერთ ძმობას. ერთმანეთს ეჯიბრებიან და გამოცდილებას უზიარებენ თბილისელი რკინიგზელი, სოციალისტური შრომის გმირი შ. კოხრეიძე და ბაქოელი რკინიგზელი ნოვატორი ფ. აგაევი და მათი ბრიგადები.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის წინსვლას. პარტიამ დარაზმა და მძლავრ შემოქმედებითს შრომაში ჩაება ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მასები, რომლებიც აშენებენ კომუნიზმს, ქმნიან მატერიალურ დოვლათს. ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობასთან და მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმთან ერთად წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და სიცოცხლისუნარიანობის წყაროს, ჩვენი სამშობლოს წინსვლის მძლავრ მამოძრავებელ ძალას.

საბჭოთა ადამიანები თანაბარ პატივს სცემენ დიდი და პატარა ხალხების თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას. ისინი ესწრაფვიან ყველა ხალხის მშვიდობიან ცხოვრებასა და თანამეგობრობას. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა დაფუძნებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპზე. იგი ხასიათდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა და მსოფლიოს ყველა ეროვნების მშრომელებისადმი მეგობრობის კეთილშობილური გრძნობით.

სსრ კავშირის ხალხები, რომლებმაც იგვეს ხალხთა მეგობრობის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ნაყოფი, მისი ძალა და ცხოველმყოფელობა კაცობრიობის პროგრესის, ხალხთა კეთილდღეობისა და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო შემჭიდროებულნი, კვლავაც განავითარებენ და განამტკიცებენ ამ მეგობრობას.

ლონგასის ქალაქების გაზიფიკაცია

სტალინო. (საკდესი). ოლქის ქალაქებსა და მეშახტეთა დაბებში დიდი მუშაობა წარმოებს საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა გაზიფიკაციისა და თბოფიკაციის დარგში.

მთავრდება გაზის მილების გაყვანა ქალაქ სტალინოს, სტალინო-საქარხნო რაიონში, სადაც უახლოეს დროში გაზს მიიღებს მეტალურგთა 400 ბინა. ცენტრში იწყება ახალი გაზსადენის მშენებლობა. წლის დამლევამდე გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა ოთხი ათას ხუთასს მიაღწევს.

ჩაღდება გაზსაწმენდი ქარხნისა და გაზსადენის მშენებლობა გორლოვკაში. ისინი შესაძლებელს გახდიან გაზის გაყვანას ყველა მრავალსართულიან შენობაში.

საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციისა და თბოფიკაციისათვის დიდი სახსრები იხარჯება მაკეევკაში. აქ მეშახტეთა და მეტალურგთა 600 ბინაში უკვე გაყვანილია გაზი. ახლა ქალაქში შენდება ახალი გაზსადენი და გაზსაწმენდი ქარხანა.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

მარცვალსაწმენდი პუნქტები

ლენინგრადი, 16 ივნისი. (საკდესი). სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომლებმა შეიმუშავეს კოლმეურნეობებისათვის ოთხი ტიპის მექანიზებული მარცვალსახმობი და საწმენდი პუნქტები.

ვოლოსოვის რაიონის კოლმეურნეობა „იდეაში“ აშენდა და გამოიცადა პირველი მარცვალსახმობ-საწმენდი აგრეგატი. იგი შედგება მარცვალ-ჰაულტისაგან, რომლის დახმარებით კომბაინის მიერ აღებული მარცვალი სარეველასაგან იწმინდება. გაწმენდის შემდეგ მარცვალი გადადის დამხარისხებელში, ხოლო შემდეგ — სახმობში. ეს აგრეგატი საათში ახმობს ტონანახევარ მარცვალს და მომსახურებისათვის ერთიოთხად-ერთიხუთად ნაკლებ მუშახელს მოითხოვს, ვიდრე ერთ მექანიზებულ ხაზად გაერთიანებელი ამ მანქანების გამოყენებისას.

ამავე რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო მშენებლობა უფრო გაუმჯობესებული კონსტრუქციის მარცვალსახმობი აგრეგატისა. მისი უპირატესობა ის არის, რომ მექანიზებულია მარცვლის აწონა და დატვირთვა ავტომანქანაში, ხოლო წარმადობა ერთიორად მეტია.

პურის უხვი მოსავალი

კარში. (საკდესი). კაჩა-დარიის ოლქის კოლმეურნეობებში გაჩაღდა თავთავიან კულტურათა მასობრივი მკა. ყანებში კომბაინები მუშაობენ. მოსავალი ყველგან შარშანდელზე მეტია. კარშის რაიონის ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის, კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრები ურწყავი მიწების თვითეულ ჰექტარზე 110 ფუთ საშემოდგომო ქერს ლეწავენ. ასეთი მოსავალი უზბეკეთის პირობებში მიღწეულია პირველად.

★

ტულის თვითმავალი კომბაინების ქარხანაში

ტულა. (საკდესი). ტულის თვითმავალი კომბაინების ქარხნის მისადგომი გზებიდან ბელორუსიისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების მტს-ებში გაიგზავნა მოსავლის ასაღები სრულყოფილი მანქანების მორიგი პარტია.

საწარმოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ხუთი თვის საწარმოო პროგრამა და ისწრაფვის ვადამდე გაანაღდოს დავალება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უანგაში მოსავლის აღების დასაწყისისათვის ახალი ტექნიკის გაგზავნის დარგში.

უკანასკნელი თვეების მანძილზე საწნეხ და მექანიკურ საამქროებში საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი წარმადობის კომბაინის ექვეკერები ლენინგრადის, საამწყობო საამქროში ამუშავდა საღებავ-საშრობი აგრეგატი, განხორციელებულია ათობით სხვა ღონისძიება. უფრო რაციონალური გამოჭრისა და ნარჩენის შემტარების შედეგად ახლა ერთ კომბაინზე 42 კილოგრამით ნაკლები ლითონი იხარჯება, ვიდრე რამდენიმე თვის წინათ.

მუსიკოსთა ოჯახი

ბარანოვიჩი. (საკდესი). რადიოთი გადაცემულ იქნა კონცერტი თვითმოქმედი სექსტეტისა, რომელიც ივენეცის რაიონის მაიაკოვსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნის იოსებ ლემბოვიჩის ოჯახის წევრებისაგან შედგება. შესრულებულ იქნა აფსკზე ჩაწერილი სიმღერები ხალხთა მშვიდობასა და მეგობრობაზე, რუსული და ბელორუსული საცეკვაოები.

ოჯახის უფროსი და მისი შვილები სტანისლავ — კოლმეურნე ფოსტალიონი და ვერა — საბავშვო სახლის აღმზრდელი — წინწილს უკრავენ, პეტრე — მუშა და იოსებ — ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი — ბაიანისტები არიან, ვაჟი ანატოლი — კოლმეურნეობის მეფუტკრე — ვიოლინოს უკრავს.

მუშაობისაგან თავისუფალ დროს მუსიკოსთა ოჯახი ეუფლება ნოტებს, სწავლობს ახალ ნაწარმოებებს. მის რეპერტუარშია 30-ზე მეტი რუსული, ბელორუსული, უკრაინული ხალხური სიმღერა, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებნი და ხალხური საცეკვაოები.

სექსტეტი ხშირად გამოდის თანასოფლელთა და მეზობელი კოლმეურნეობების წევრთა წინაშე. წლის გაზაფხულზე მან გამართა რვა კონცერტი, რომლებმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

★

ოხოტსკის სანაპიროზე

ოხოტსკი, 16 ივნისი. (საკდესი). ოხოტსკის რაიონი მდებარეობს ხაბაროვსკის მხარის ჩრდილოეთში. ოცდაათი წლის წინათ ეს იყო ყრუ, უდაბური ადგილები, სადაც შეიძლებოდა ასობით ვერსი გაგვევლო და დასახლებულ პუნქტს ვერ შეხვედროდი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ, ისევე როგორც ყველგან შორეულ აღმოსავლეთში, დიდი ცვლილებები მოხდა. სანაპიროზე აშენდა დიდი თევზკომბინატები და თევზის ქარხნები, რომლებიც აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით. თევზმჭერი არტელების მომსახურებისათვის შექმნილია ორი მოტორ-თევზსაჭერი სადგური. ტაიგაში გაჩნდა ხე-ტყის დამამზადებელი უბნები.

ოხოტსკის სანაპიროზე არსებული ყველა კოლმეურნეობა მილიონერია. არტელების უმრავლესობას საკუთარი ელექტროსადგურები აქვს. თევზჭერასთან ერთად კოლმეურნეები ავითარებენ მეირმეობას.

ოხოტსკის სანაპიროზე დიდხანს იყო შორეული აღმოსავლეთის კინოქარონიკის სტუდია. გუშინ კინოოპერატორებმა დაამთავრეს გადაღება, მათ ალბეჭდეს კოლმეურნეობა „ჩრდილოეთის განთიადის“ მეთევზეთა მუშაობა.

მილიონი მანეთი შემოსავალი

ანდიჟანი. (საკდესი). ანდიჟანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა დამამზადებელ პუნქტში მიიტანეს გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის უკანასკნელი პარტია წლიური გეგმის ანგარიშში. საშუალო მოსავალი თვითეულ კოლოფ თესლზე 62 კილოგრამს აღემატება. ბევრმა რგოლმა გამოიყენა მეაბრეშუმე ოსტატების მოწინავე გამოცდილება და ერთ კოლოფ თესლზე 80-90 კილოგრამი პარკი მიიღო. სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ პარკში კოლმეურნეობას მილიონ მანეთზე მეტი ერგება.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

პეკინის უმაღლეს სასწავლებლებში

პეკინი, 17 ივნისი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი. უმაღლესი სასწავლებლები ყველაზე მეტად თავმოყრილია ჩინეთის დედაქალაქ პეკინში. პეკინის 27 უმაღლესი სასწავლებლიდან ბევრი ამ ცოტა ხნის წინათ გაიხსნა.

3.800 სტუდენტი, მათ შორის ათასზე მეტი ქალი, სწავლობს პეკინის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტს აქვს 12 ფაკულტეტი: ფიზიკის, ქიმიის, ისტორიის, ჩინური და რუსული ენისა და ლიტერატურის, ფილოსოფიის ფაკულტეტი, ეკონომიკის და სხვ. იზრდება მუშათა და გლეხთა შვილების — სტუდენტების რიცხვი. უნივერსიტეტში სწავლობენ 18 ეროვნების სტუდენტები.

უნივერსიტეტს აქვს ბევრი კარგად მოწყობილი სალექციო დარბაზი და ლაბორატორია. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია 1.700 ათასი ტომი წიგნი.

42 წლეწადია არსებობს ციხუას უნივერსიტეტი. წინათ აქ შეეძლოთ ესწავლათ მხოლოდ მდიდრების შვილებს. უბრალო ხალხს აქ არ იღებდნენ. განთავისუფლების შემდეგ უნივერსიტეტის კარი ფართოდ გაიღო მუშებისა და გლეხების შვილებისათვის. პეკინის უნივერსიტეტისაგან განსხვავებით ეს უნივერსიტეტი იძლევა ტექნიკურ განათლებას. უნივერსიტეტი ფართოვდება. უნივერსიტეტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისათვის ამზადებს 19 სპეციალობის ინჟინრებს.

სამი წლის წინათ პეკინში გაიხსნა სამთო ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს სამთო ინჟინრებს, უმთავრესად ქვანახშირის შახტების მშენებლობისა და ექსპლოატაციის დარგში. წელს ინსტიტუტმა ქვეყანას მისცა 350 მაღალკვალიფიციური ინჟინერი.

პეკინის რკინიგზის ინსტიტუტი კვალიფიციურ კადრებს ამზადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მზარდი რკინიგზის ტრანსპორტის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ახალი სასწავლო წლიდან მეცადინეობა დაიწყება პეკინის ნავთობის ინსტიტუტში. ეს ნავთობის პირველი ინსტიტუტია ჩინეთში.

ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილ ინსტიტუტთა შორის არის პეტყევეობის ინსტიტუტი, პეკინის მეტალურგიული ინსტიტუტი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცენტრალური ინსტიტუტი და სხვა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში დიდ როლს ასრულებს პეკინის სასოფლო-სამეურნეო აკადემია, რომელსაც მრავალი ფაკულტეტი და განყოფილება აქვს.

ჩვეულებრივი ტიპის ინსტიტუტებთან ერთად პეკინში შექმნილია სახალხო უნივერსიტეტი, სადაც სწავლობენ ის სტუდენტები, რომლებსაც რევოლუციური მუშაობისა და საწარმოთა ხელმძღვანელობის გამოცდილება აქვთ, და ეროვნულ უმცირესობათა ცენტრალური ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს ხელმძღვანელ მუშაკთა კადრებს ეროვნულ უმცირესობათა წრიდან.

პეკინის უმაღლეს სასწავლებელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცენტრალურ სამხატვრო აკადემიას, სადაც სახვითი ხელოვნების ოსტატებს ამზადებენ.

უნგრეთის მშრომელთა საზაფხულო დასვენება

ბუდაპეშტი, 17 ივნისი. (საკდესი). წლითიწლობით უმჯობესდება უნგრეთის მშრომელთა დასვენების ორგანიზაცია. უნგრეთის განთავისუფლების პირველსავე წელს კურორტებზე, რომლებიც წინათ ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ბურჟუაზიისა და მემამულეებისათვის, საზაფხულო შვებულება გაატარა 30 ათასზე მეტმა კაცმა. 1949 წელს მშრომელთა დასვენების ორგანიზაცია გადაეცემულ იქნა პროფკავშირთა გამგებლობაში. იმ წელიწადს სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, სამკურნალო წყლებიან კურორტებზე შვებულება გაატარა 113.500 მუშამ, ინტელიგენციის წარმომადგენელმა და მშრომელმა გლეხმა. 1952 წელს იქ უკვე 180 ათასი კაცი ისვენებდა. წელს იქ დაისვენებს 7 ათასი კაცით მეტი. დასასვენებელ სახლებში მიემზადებარება 65 ათასი ბავშვი.

ამ უკანასკნელ წლებში აშენდა ახალი დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, უფრო კეთილმოწყობილი გახდა კურორტები. წელს იხსნება მთელი რიგი ახალი სანატორიუმები.

შრომის დაცვა რუმინეთში

ბუქარესტი, 17 ივნისი. (საკდესი). ძველ რუმინეთში არავითარ ზრუნვას არ იჩენდნენ შრომის დაცვისათვის. ასობით მუშა იღუპებოდა ან კარგავდა შრომის უნარს უბედურ შემთხვევათა გამო. 1910 წელს, მაგალითად, პრახოვის ხეობაში ნავთობის ჭაბურღილის ხანძრის დროს, რომელიც უცხოეთის ნავთობის კომპანიას ეკუთვნოდა, დაიღუპა 40 მუშა. 1940 წელს 50 მუშა დაიღუპა ლუპენის შახტში და სხვ.

სახალხო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს შრომის დაცვას. 1951 წელს რუმინეთში გაიხსნა შრომის დაცვის ინსტიტუტი, აგრეთვე დაარსდა შრომის დაცვის განყოფილებანი მეცნიერებათა აკადემიის მთელ რიგ ინსტიტუტებთან. ყოველ პროფკავშირშია უშიშროების ტექნიკის ინსპექტორთა ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს ყველა საწარმოში შექმნილ შრომის დაცვის კომისიებთან.

შრომის დაცვისათვის ასიგნებული სახსრები წლითიწლობით იზრდება. 1952 წელს ეს სახსრები 1950 წელთან შედარებით 168 პროცენტით გაიზარდა. მარტო მეტალურგიული მრეწველობის საწარმოებში ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შრომის დაცვაზე დახარჯა 166 მილიონი ლეი.

რუმინეთში გამოდის მრავალი წიგნი, მათ შორის ნათარგმნი საბჭოთა წიგნებიც, რომლებიც მიძღვნილია შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკისადმი. ამ თემებზე კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს, აწყობენ სპეციალურ რადიოგადაცემებს.

გარაქა მათ მარჯვენას!

თავთავიანი კულტურების მოსავალს კარგი პირი უჩანს ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში. მრავალ კოლმეტრზეა გადაჭიმული სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პურის ყანები. კოლმეურნეები და მექანიზატორები ამ დღეებში გამსჭვალული არიან გადაწყვეტილებით — რაც შეიძლება სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, დროზე მოიხადონ სახელმწიფო ვალდებულებანი.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი წამყვანი, მსხვილი მეურნეობაა. აქ ცხოვრობს და მუშაობს 1.200 კოლმეურნე. სამი კოლმეურნეობის შეერთების შემდეგ მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი.

თვალსა და გულს ახარებს კოლმეურნეობის პურის ყანები მდინარე ალაზნის ნაპირებზე — „თელიანებში“, „მუხნარებში“, „ყაიბნებში“. კოლმეურნეობას სულ 815 ჰექტარი ყანა აქვს, თითქმის მთლიანად ხორბალი.

ალაზნის თვალწარმტაცი ნაპირებიდან თვითმავალი კომბაინის გუგუნი მოისმის. ეს კომბაინი უკვე შევიდა ფერმისპირა ნაკვეთში და ქერის აღებაზე მუშაობს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი კაპანაძე სიამაყეს შეუპყრია, რომ იწყება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე — კოლმეურნეთა ოფლითა და შრომით მოყვანილი მოსავლის აღება.

— აგერ ის თვითმავალი კომბაინი, — გვითხრა გიორგიმ, — წელს პირველი მახარობელია ჩვენს ნაკვეთში. მას გარდა ამ დღეებში კიდევ ორი „სტალინეც-6“ დაიწყებს მუშაობას. ქერი ცოტა გვაქვს. სანამ ხორბლის მასივებს გაჭრას დავიწყებდეთ, დღევანდელი მკა „გენერალური რეპეტიციაა“, ჩვენი ძალების შემოწმებაა.

გავემგზავრეთ „რეპეტიციის“ ადგილას. თვითმავალი კომბაინი ოქროს ზღვაში მიცურავს. ახალი მოსავლის ქერის ქარვისფერი მარცვლები სწრაფად იყრება ბუნკერში. ბარაქა მათ მარჯვენას!

ვნახეთ კომბაინერი ვლადიმერ კირკიტაძე. მის საქმიანობაზე აფენის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორმა ვალერიან ბახტაძემ განაცხადა:

— ვ. კირკიტაძე უანახ კი არა მკის, არამედ პარსავს.

ეს კომბაინერის მოკლე, მაგრამ ამომწურავი დახასიათებაა. როგორც შემდეგ გავიგეთ, ვ. კირკიტაძეს სამ-ოთხ საათში დიემთავრებინა ქერის მკა. მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 25-26 ცენტნერს უდრის. პირველი შედეგი კარგია.

კომბაინერ კირკიტაძესთან ერთად ქების ღირსია მეშტურავლე რაჟდენ ჩიხლაძე, რომელიც ჩინებულად ფლობს თავის პროფესიას.

აფენელი მექანიზატორები და კოლმეურნეები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ლაგოდეხის ხაყრდენ-ხაჩვენებელი მტს-ის მუშაკთა მიმართვას საქართველოს ყველა მტს-ის მექანიზატორისა და კოლმეურნეებისადმი თავთავიანი კულტურების მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა აფენის მტს-ის დამბარების ხორბალი მომკას 15 სამუშაო დღეში. პირველი ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი შალვა ჩალაძე ხელმძღვანელობს, 12 დღეში დაამთავრებს პურეულის აღებას. აფენის მტს-ი ამ კოლმეურნეობაში განახორციელებს მარცვლის კომპლექსურ წმენდას.

უკვე მზად არის სველი კალიები, მარცვალსაწმენდი მანქანები. კოლმეურნეთა ერთსულოვანი მისწრაფებაა პირველი განალეწი პური სახელმწიფოს ჩაბარონ.

სულ მალე კომბაინთა ბუნკერები აივსება „ლაგოდეხური ვრძელთავთავას“ ბარაქიანი მარცვლით, ხოლო კოლმეურნეთა და სოფლის მექანიზატორთა გული — დიდი სიხარულითა და სიამაყით.

ს. არღუნელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს მოიყვანეს ქერის უხვი მოსავალი. **სურათზე:** მარცვლის მომზადება საკოლმეურნეო ბელელში გასაგზავნად.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

პარტიული ცხოვრება

აღმოვფხვრათ ფორმალიზმი კომუნისტების პოლიტიკური სწავლების საქმეში

პარტიის XIX ყრილობამ ამოცანად დასახა ბოლო მოვუღოთ იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობას, სისტემატურად სრულვყოთ კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადება. სამწუხაროდ, პარტიის ოჩამჩირის რაიკომი ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის ამ ამოცანის შესრულებისათვის, მან დავიწყებას მისცა კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების უმნიშვნელოვანესი საქმე. რაიკომი (მდივანი ა. ქვარცხავა) და მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება კომუნისტთა პოლიტიკური სწავლებისადმი აშკარა ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ, რის გამო პარტიული განათლების სისტემაში მრავალი ნაკლოვანებაა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პარტიის რაიკომთან არსებული პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარი, რომელსაც რაიკომის მდივანი ა. აფშილავა ხელმძღვანელობს. სემინარის მსმენელები — მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. არშბა, პირველი მტს-ის დირექტორი მ. ბიგვავა, ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ი. ალასანია და სხვები სისტემატურად აცდენენ მეცადინეობას. უფრო მეტიც. ა. არშბამ 10 მარტს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა „დასაჩქარებლად“ სოფლად მიავლინა რაისაბჭოს მუშაკები, რომლებიც სემინარში არიან გაერთიანებული, ამასთან ანგარიში არ გაუწია იმას, რომ სწორედ ამ დღისათვის სემინარის მეცადინეობა იყო დანიშნული. ამან ის გამოიწვია, რომ მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო სემინარის მეცადინეობა ჩაიშალა.

პარტიის XIX ყრილობის მასალების შემსწავლელთათვის რაიონში შექმნილი იყო სამი მუდმივმოქმედი სემინარი. აღსანიშნავია, რომ ეს სემინარები მეცადინეობას ძალიან დაგვიანებით, თებერვლის პირველი რიცხვებიდან შეუდგნენ და ამიტომ საგრძნობლად ჩამორჩნენ პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლაში. მეცადინეობის ცუდად მოწყობისა და რაიკომის მხრივ კონტროლის უქონლობის გამო ჩამორჩნენ აგრეთვე მთელი რიგი პოლიტსკოლები და წრეები. პარტიული განათლების ქსელში ჩამორჩენა რომ დაეძლია, რაიკომმა ბევრგან დააჩქარა მეცადინეობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა შეთვისების ხარისხზე.

მოსალოდნელი იყო, რომ რაიკომი სერიოზულად იზრუნებდა შემაჯამებელი მეცადინეობის ნორმალურად მოწყობისათვის და მას კომუნისტების, კომკავშირელებისა და უპარტიო აქტივისტების მიერ მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და გაღრმავების საშუალებად გადააქცევდა, ანალიზს გაუკეთებდა გამოვლინებულ ნაკლოვანებებს და გაითვალისწინებდა მათ პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ნაცვლად იმისა, რომ რაიკომის მდივნები, აგრეთვე რაიკომის სხვა განყოფილებათა მუშაკები დახმარებოდნენ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას შემაჯამებელი მეცადინეობის, თეორიული გასაუბრების მომზადებასა და მოწყობაში, საწინააღმდეგო რამ მოხდა. პარტიული განათლების სისტემის მუშაობის ამ მეტად პასუხსაგებ ეტაპზე პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკებს დაევალათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის მეთვალყურეობა, რითაც შესუსტდა მათი ყურადღება ძირითადი ამოცანის შესასრულებლად. ყოველივე ამის გამო მთელ რიგ პოლიტსკოლებსა და წრეებში შემაჯამებელი მეცადინეობა დაგვიანებით დაიწყო და დაბალ იდეურ დონეზე ჩატარდა.

რაიონის პარტიული განათლების ქსელში შემაჯამებელი მეცადინეობა 20 მაისიდან დაიწყო. კალენდარული გეგმა, რომლის მიხედვითაც შემაჯამებელი მეცადინეობა მოეწყო, არასწორად იყო შედგენილი. ამ გეგმის მიხედვით რაიკომის მიერ პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობაზე დასასწრებად გამოყოფილი ამხანაგები ერთსა და იმავე დღეს ერთსა და იმავე საათებში ორ ან სამ მეცადინეობას უნდა დასწრებოდნენ, რაც, ცხადია, ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ამის შედეგად ზოგიერთი ამხანაგი საქმეს ფორმალურად მოეკიდა, მეცადინეობას არ დასწრებია, მაგრამ რაიკომში მაინც წარადგინა „ცნობები“ არარსებულ წარმატებათა შესახებ. მაგალითად, რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელ პარტიის ძირითადი ტიპის წრესა და სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში შემაჯამებელი მეცადინეობა, აგრეთვე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებთან თეორიული გასაუბრება ამხანაგებთან ერთად 25-26 მაისს უნდა მოწყობილიყო. სამივე ადგილზე დასწრება დაევალა რაიკომის ინსტრუქტორს გ. ჯიჭონაიას. სინამდვილეში იგი მხოლოდ პირველ მეცადინეობას დაესწრო, რაიკომში კი ისეთი „ცნობები“ წარადგინა, თითქოს ამ ორგანიზაციებმა სასწავლო წელი ორგანიზებულად დამთავრეს.

სოფელ ცაგერის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში მეცადინეობა დაბალ იდეურ დონეზე მიმდინარეობდა, ხშირი იყო უდისციპლინობის შემთხვევები. შემაჯამებელი მეცადინეობა ზერელედ მოეწყო, პროპაგანდისტმა რ. სილაგაძემ სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, ხოლო რაიკომის წარმომადგენელმა ვ. ძველაიამ ყოველივე ამას წაუყრუა და ისეთი დასკვნა დაწერა, თითქოს ყველა მსმენელმა გავლილი მასალა კარგად შეითვისა.

სოფელ მოქვის ცხაკაიას სახელობის და სოფელ გუფის ბერიას სახელობის კოლმეურნეობების პირველადს პარტორგანიზაციებთან შექმნილ წრეებსა და პოლიტსკოლებში შემაჯამებელ მეცადინეობაზე მხოლოდ რამდენიმე წუთით შეიარეს პარტიის რაიკომის მდივნებმა ა. აფშილავამ და ტ. სოსელიამ.

ასეთი მუშაობის შედეგად პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში 1 ივნისისათვის ჯერ კიდევ არ იცოდნენ, მოეწყო თუ არა შემაჯამებელი მეცადინეობა და ერიოული გასაუბრება რაიონის ყველა პოლიტსკოლასა და წრეში და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებთან.

პარტიის ოჩამჩირის რაიკომმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრას ფორმალური დამოკიდებულება კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმისადმი და ყველა ზომა მიიღოს პარტიული მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნის მაღალ დონეზე დასაყენებლად.

გ. წიკლვაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფოთი. ნავსადგურის მოწინავე მეამწეები კომკავშირელები ლ. ჩხაიძე (მარცხნივ) და ი. ლერკოვსკი, რომლებიც კარგი მუშაობით დიდად აჩქარებენ გემების დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციათა შესრულებას.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ელექტრომავლის შეკეთება ჩქარწნული მეთოდით

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). საელმავლო დეპოს აწევითი შეკეთების საამქროს სარემონტო ბრიგადებში განიხილეს გაზეთ „კომუნისტის“ 5 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილი, სადაც მოთხრობილია თბილისის საელმავლო დეპოს სტახანოველი ზეინკლის ლავრენტი მოსეშვილის ინიციატივის შესახებ. როგორც ცნობილია, მან ელექტრომავლის რემონტის დაჩქარების მიზნით განახორციელა ელექტრომავლის ღუზის ვენტილატორის მოუხსნელად შეკეთება და ერთიოთხად შეამცირა რემონტის დრო.

ხაშურის საელმავლო დეპოს კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ოსტატი გ. გამგონიძე და ბრიგადირი ი. მაცხონაშვილი ხელმძღვანელობენ, 9 ივნისს შეუდგა ერთ-ერთი ელექტრომავლის ჩქარწნულად შეკეთებას. 10 ივნისს ეს ელექტრომავალი უკვე მზად იყო. მისი შეკეთება განხორციელდა 32 საათის განმავლობაში, ნაცვლად 48 საათისა, რითაც გაწეულ იქნა 7.000 მანეთი ეკონომია.

იმაღლებენ საწარმოო კვალიფიკაციას

ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის სტახანოვურ სკოლებში 30 მეფეხსაცმელე ეუფლება ცნობილი ნოვატორების, სტალინური პრემიის ლაურეატების ა. ანდაროვას და ო. აგაფონოვას მუშაობის მეთოდებს.

მეცადინეობის შედეგად საპირისპირო საძირის გამომჭრელმა სტახანოველებმა ა. ფუტკარაძემ, მ. ჟორჟოლიანმა, ა. ფხაკაძემ, გ. გვახარიამ, ქ. გაბუნიამ, ს. მიქაშვილმა გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ ნორმებს და მუშაობენ უწუნოდ.

ღიზვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვილნიუსი, 17 ივნისი. (საკუთარი). ამ დღეებში გაიმართა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ლიტვის სს რესპუბლიკაში პოლიტიკური მუშაობის და სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დიდ ნაკლოვანებათა საკითხი.

პლენუმმა აღნიშნა სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობაში და, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში დაშვებულია დამახინჯებანი, რაც იმით გამოიხატება, რომ განსაკუთრებით სუსტად ხორციელდება ლიტვის ეროვნული კადრების გამოზრდა და დაწინაურება ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე. პლენუმმა დაგმო პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ ფართოდ გავრცელებული ადგ[illegible]ნისტრირება, ნაცვლად მასობრივ-[illegible] ლიტიკური მუშაობის გაჩაღებ[illegible] პლენუმმა გამოამჟღავნა აგრეთვე [illegible] და ნაკლოვანებანი და შეცდომ[illegible] კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-[illegible]მეურნეო განმტკიცების საქმეში.

ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ ცნ[illegible] დაშვებული შეცდომების გადაკ[illegible] გამოსწორება და დასახა კონკრეტ[illegible] ღონისძიებანი. რესპუბლიკაში პოლ[illegible]ტიკური მუშაობის გაძლიერებისათ[illegible] ლენინურ-სტალინური ეროვნული [illegible] ლიტიკის თანმიმდევრულად განხ[illegible]ციელებისათვის, ლიტვის ეროვნ[illegible] კადრების გამოზრდის, მომზადებისა[illegible] პარტიულ, საბჭოთა და სამეურნ[illegible] ორგანოებში ხელმძღვანელ სამუშაო[illegible] მათი ფართო დაწინაურების საკ[illegible] გაუმჯობესებისათვის, კოლმეურნ[illegible]ბათა პოლიტიკური და ორგანიზა[illegible]ულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

კარელია-ფინეთის სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პეტროზავოდსკი. (საკუთარი). 16 ივნისს აქ მუშაობა დაამთავრა კარელია-ფინეთის სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა.

პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადების დარგში.

პლენუმზე განხილულ იქნა აგრეთ[illegible] კარელია-ფინეთის სსრ სატყეო და ქ[illegible]ლადის მრეწველობის მინისტრ[illegible] ვ. კ. კოროლიოვის მოხსენება რესპუ[illegible]ლიკის სატყეო და ქაღალდის მრეწ[illegible]ლობის სამინისტროს საწარმოებ[illegible] კაპიტალური მშენებლობის წლ[illegible]რი გეგმის შესრულების ღონისძიებ[illegible]თა შესახებ.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრალური საზოგადოებათა გაერთიანებული სესია

17 ივნისს თბილისს ჩამოვიდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებათა გაერთიანებული სესიის წარმომადგენლები.

რკინიგზის ვაგზალზე აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დელეგაციებს შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კულტურის სამინისტროს, თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებათა გაერთიანებულმა სესიამ მუშაობა დაიწყო 8 ივნისს ქალაქ ერევანში. 12 ივნისიდან სესია მუშაობას განაგრძობდა ბაქოში.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

ამიერკავკასიის თეატრების მეგობრული ურთიერთობის შესახებ მოხსენება გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ა. ალიევამ.

სესიაზე მოხსენებები გააკეთეს სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა ვ. გართანიანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დოცენტმა მ. მამედოვმ[illegible] კრიტიკოსმა ბ. ელენტმა და სხვებმა.

მოხსენებებში დაუშვა თეატრის მ[illegible]შაკებისა და დრამატურგების თან[illegible]მშრომლობის, ამიერკავკასიის მოძ[illegible] რესპუბლიკების თეატრების ურთიერ[illegible]თობის ისტორიის საკითხები და სხვ.

მოხსენებებმა ბაქოსა და ერევანში გაცხოველებული კამათი გამოიწვი[illegible] კამათში მონაწილეობა მიიღეს აზერბაი[illegible]ჯანელმა და სომეხმა დრამატურგებმ[illegible] რეჟისორებმა, მსახიობებმა, მხატვრებ[illegible] დეკორატორებმა და თეატრალურ[illegible] კრიტიკოსებმა.

სესია მუშაობას დაამთავრებს თბ[illegible]ლისში.

ჩამოსვლის დღეს სტუმრებმა თბ[illegible]ლისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფ[illegible] თეატრში ინახულეს კომპოზიტორ[illegible] დ. თორაძის ახალი ბალეტი „მშვიდ[illegible]ბისათვის“.

დღეს, 19 ივნისს, დილის 11 საათზ[illegible] აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებათ[illegible] გაერთიანებული სესია მუშაობას და[illegible]წყებს რუსთაველის სახელობის თეატ[illegible]რის საკონცერტო დარბაზში.

თათბირი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე

ბოლნისი. („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომმა ამ დღეებში მოაწყო პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, კედლის გაზეთის რედაქტორების და აგიტატორების თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი მოსავლის აღების პერიოდში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირზე აღინიშნა, რომ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში აგიტატორები უკანასკნელ პერიოდში უმოქმედობას იჩენენ, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ იღებენ ქმედით ზომებს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად. სოფელ კაზრეთის კოლმეურნეობაში აგიტატორებს იაკობაშვილს და ხეფრაშვილს გასული წლის დეკემბრიდან ივნისამდე ერთხელაც არ გაუმართავთ საუბარი.

თათბირის მონაწილეებს სააგიტაციო მუშაობის თავიანთი გამოცდილება გაიცნეს აგიტატორებმა ლ. ისიანმა, გ. გუსეინოვმა, კ. მიმინოშვილმა და ნ. გულმამედოვმა.

აღვუზარდოთ სამშობლოს მაღალკვალიფიციური კადრები

○

ნ. კეცხოველი,
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

○

უმაღლეს სასწავლებელში ივნისი მკათათვეს უდრის. ამ თვეში იწყება „მოსავლის აღება“. სტუდენტი თავის მასწავლებელს, საზოგადოებრიობას ანგარიშს აბარებს. ამ დროს უნდა გამოჩნდეს, რამდენად შეგნებული აქვს თავისი დიდი დანიშნულება ჩვენს ახალგაზრდობას. სტუდენტი ვალდებულია ისწავლოს კარგად, ღრმად შეითვისოს მეცნიერების მიღწევანი, არ დაზოგოს ენერგია ამ მიზნის განსახორციელებლად. თუ ამ მოვალეობას ის კარგად ასრულებს, მაშინ ქვეყნის წინაშე პირნათელია, არა და პირშავად იქნება. ჩვენი ქვეყნის წინაშე კი პირშავად ყოფნა ყველაზე დიდი დანაშაულია. დედა-სამშობლოს, მშობლიურ პარტიას, მთავრობას ნათელი თვალით უნდა ვუმზერდეთ, უნდა დავუფასოთ ჩვენდამი დიდი ამაგი და მზრუნველობა.

წარსული სემესტრი ჩვენმა სტუდენტებმა ცუდად არ დაამთავრეს. საერთო წარმატებულობა 95 პროცენტს უდრიდა, ფრიადოსანი და კარგოსანი სტუდენტი 78 პროცენტამდე იყო. მაგრამ მარტო ამ რიცხობრივი მაჩვენებლებით ვერ დავკმაყოფილდებით. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდობის საერთო განათლებას, ცხოვრებისათვის მომზადებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ მეორე სემესტრშიც განსაკუთრებული ყურადღება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას მიექცა.

უნივერსიტეტის საზოგადოებრიობის წინაშე მთავარ ამოცანად დადგა დიდი ყურადღებით მოვპყრობოდით სტუდენტთა საერთო კულტურული დონის ამაღლებას. გაფართოვდა სამეცნიერო წრეების მუშაობა, გამრავლდა ექსკურსიები, თეორიული კონფერენციები, დისკუსიები და სხვ. ერთხელ კიდევ განმარტებულ იქნა, რომ სტუდენტმა საგანი უნდა დაამზადოს რამდენიმე სახელმძღვანელოთი, გარდა ქართული წიგნებისა გამოიყენოს რუსულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოები, პირველწყაროები, დამხმარე წიგნები; სტუდენტებმაც და მასწავლებლებმაც კარგად უნდა იცოდნენ, რომ ცოდნა ნიშან „ფრიადით“ უნდა შეფასდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი დარწმუნდება იმაში, რომ სტუდენტს სრულყოფილად აქვს ათვისებული ლექციის, პრაქტიკუმისა და სემინარის მასალა, დამუშავებული და შესწავლილი აქვს საგანი რამდენიმე სხვადასხვა ავტორის წიგნითა და სახელმძღვანელოთი, პირველწყაროებით და მათ შორის რუსულად დაწერილი სახელმძღვანელოებით, აზროვნებს დამოუკიდებლად, გავლილი მასალის საფუძველზე გამოაქვს დასკვნები და სხვ.

საგაზაფხულო სესიაზე უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ 20.347 სტუდენტ-საგანი, ე. ი. სტუდენტმა საშუალოდ უნდა ჩააბაროს 4-5 საგანი და გარდა ამისა უნდა მიიღოს 5-7 ჩათვლა. ეს დიდი დატვირთვაა და თუ სტუდენტმა მთელი წლის განმავლობაში სერიოზულად არ იმუშავა, გაუჭირდება საგნების კარგად ჩაბარება, ივნისში ცხრა ჭირისოფლიც რომ მოიწუროს. უნივერსიტეტი გამოცდებს მომზადებული შეხვდა: გამოცდის ცხრილები კარგახნით ადრე იყო გამოკრული, ლაბორატორიებში და კაბინეტებში მასწავლებლები დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე მორიგეობდნენ და მსურველთ აძლევდნენ საჭირო განმარტებებს. სამკითხველოები საღამოს 11 საათამდე მუშაობდნენ. ყველა საგანში დაიბეჭდა პროგრამა და გადაეცა სტუდენტებს და სხვ. გამოცდები დაიწყო ცხრილით გათვალისწინებულ ვადაზე. 16 ივნისისათვის დაიწერა 12.612 ნიშანი, აქედან 6.139 „ფრიადია“, 5.118 — „კარგი“, 1.108 — „დამაკმაყოფილებელი“ და 247 — „არადამაკმაყოფილებელი“.

სესიები უკვე დაამთავრეს ბიოლოგიის და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტებმა და სტუდენტები წავიდნენ საწარმოო და აკადემიური პრაქტიკის ჩასატარებლად.

გარდა ჩვეულებრივი სესიისა, ამჟამად უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდის სესიებიც მიმდინარეობს.

მეხუთეკურსელები სახელმწიფო გამოცდებს აბარებენ. მრავალი სტუდენტი ღრმად მომზადებული ცხადდება როგორც სასესიო საგნების ჩასაბარებლად, ისე სახელმწიფო გამოცდებზე. როდესაც მათ პასუხებს ყურს უგდებთ, გწამთ, რომ დედა-სამშობლო შესანიშნავ სპეციალისტს მიიღებს, მცოდნეს, კულტურულს.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა თვალი დაგვეხუჭა და არ დაგვენახა ის ნაკლი, რომელიც ამ სესიებმაც გამოამჟღავნა. ზოგი სტუდენტი გამოცდაზე მოუმზადებელი ცხადდება, რის შედეგადაც სუსტ ნიშანს იღებს. ბევრს დამაკმაყოფილებელი ნიშანი ეწერება, მაგრამ მის სიტყვა-პასუხში არა ჩანს ის მაღალი კულტურა, რომელიც მომავალ სპეციალისტს მოეთხოვება, არ ემჩნევა ცოდნის სიღრმე, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, არ შეუძლია ფაქტების განზოგადება, ამა თუ იმ მონაცემის ან ფაქტიური მასალის შედეგად შესაფერი დასკვნების გამოტანა. სიტყვის მარაგი ღარიბი აქვს. მდიდარი ქართული ლექსიკა გამოყენებული არ არის. ლაბარაკობს გაცვეთილი ფრაზებით, წინადადებებს არ ამთავრებს, ჭარბად ხმარობს ნაცვალსახელებს და სხვ.

ჩვენი სტუდენტის სიტყვა-პასუხი დარბაისლური, გონივრული და გამართული უნდა იყოს. მან ჩვენი დღევანდელი, და არა მარტო დღევანდელი, ცხოვრება ღრმად უნდა იცოდეს. ჯერჯერობით კი ამას მთლიანად ვერ მივაღწიეთ. მაგალითად, იურიდიულ ფაკულტეტზე სახელმწიფო გამოცდას მარქსიზმ-ლენინიზმში 66 სტუდენტი აბარებდა. სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით „ფრიადი“ დაეწერა 2-ს, „კარგი“ — 18-ს, „დამაკმაყოფილებელი“ — 41-ს, „არადამაკმაყოფილებელი“—5-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სტუდენტთა უმრავლესობას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია თავისი დიდი დანიშნულება. განა სტუდენტმა, და ისიც სახელმწიფო კომისიაზე მოსულმა, ისე უნდა ისწავლოს, რომ ნიშანი „დამაკმაყოფილებელი“ ან „არადამაკმაყოფილებელი“ მიიღოს? და ისიც მარქსიზმ-ლენინიზმში?! ეს ხომ ჩვენი ძირითადი მეცნიერებაა, მეცნიერება, რომლის ცოდნა სავალდებულოა ყველა დარგის სპეციალისტებისათვის. ამ დარგში ხომ უმდიდრესი და შესანიშნავი ლიტერატურა გვაქვს! სტუდენტის განკარგულებაშია პირველწყაროები ქართულ და რუსულ ენებზე, თუ დასჭირდება, სხვა ენებზეც, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები მის განკარგულებაშია, მასწავლებლები დაუზარებლად აძლევენ კონსულტაციებს, ეხმარებიან. მაშ რაღა აკლია? შრომის უნარი? შეგნება? როგორც ჩანს, ზოგს ერთიც და მეორეც. ზოგი არ გრძნობს პასუხისმგებლობას. იურიდიულ ფაკულტეტზე სუსტი იყო სტუდენტ შარმიაშვილის, სიხარულიძის და სხვ. პასუხი. ასევე სუსტნი იყვნენ სახელმწიფო გამოცდებზე გამოსული ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები: რურუა, კოკაია, გეგეშიძე და სხვები. სამწუხაროა ის, რომ ზოგიერთმა მათგანმა ჩვენი თანამედროვე ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენები ვერ დაასახელა, ვერ განმარტა. ზოგნი ვერ ერკვევიან საერთაშორისო მდგომარეობაში, ყოველდღიურად არ კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, ჩვენ კი, როგორც ჩანს, ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დროულად არ ვიღებთ ზომებს. მიმდინარე სესიაზეც ბევრი ცხადდება სუსტად მომზადებული. მაგალითად, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გ. ხონელიძე და თ. გორდეზიანი, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მ. ვაშაკიძე, ვ. გუჯეჯიანი, რ. გოგინაშვილი, შ. ავეტიკოვი, ქიმიის ფაკულტეტზე ნ. არჩვაძე და სხვ.

ჩვენს უნივერსიტეტში საზოგადოებრივი მეცნიერების მრავალი კათედრაა: მარქსიზმ-ლენინიზმის, პოლიტეკონომიის, ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის და სხვ. ამ კათედრებზე 85-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი მუშაობს. მარტო ამ კათედრებმა რომ სათანადოდ წარმართონ მუშაობა, უეჭველად ღირსშესანიშნავი შედეგები გვექნებოდა. ამ კათედრის წევრები უფრო ახლო უნდა იყვნენ სტუდენტებთან. მათ თეორიული საკითხების საილუსტრაციოდ, განსამარტავად სტუდენტებს მაგალითები ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან უნდა მიაწოდონ, მოახდინონ ამ მასალის ანალიზი და განაზოგადონ დასკვნები. სტუდენტი უნდა მივაჩვიოთ დამოუკიდებელ აზროვნებას, მუშაობას, კვლევას, ძიებას. მრავალ სტუდენტს სწორედ ეს აკლია.

უმართებულო იქნებოდა გვეთქვა, რომ ასეთი ამბები მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ბრალია. რასაკვირველია, არა. თუ მათზე ვლაპარაკობ, ეს იმიტომ, რომ ისინი ხელმძღვანელობენ ყველაზე მნიშვნელოვან საგანს. საჭიროა მთელი კოლექტივი ზრუნავდეს და ფიქრობდეს ახალგაზრდობის დაკაჟებაზე, მისი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე. უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული ორგანიზაციის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დიდი დ[illegible] თავდადებული მუშაობაა საჭირო იმ[illegible]სათვის, რომ სრულყოფილი სპეციალისტი გავზარდოთ. ზემოდასახელებული ფაქტები იმაზეც მეტყველებ[illegible] რომ თეორიული კონფერენციები, საჯარო ლექცია-მოხსენებები, სემინარული მუშაობა და სხვა ჯერ კიდევ მრავალი ნაკლის მატარებელია. სტუდენტების აღზრდის საქმეში ოჯახი ა[illegible] უნდა იყოს დავიწყებული. ოჯახი უ[illegible]რო მეტად უნდა უგდებდეს ყურს, უ[illegible]რო მეტ პასუხისმგებლობას სთხოვდ[illegible] თავის წევრს. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ არის. ხშირად ოჯახი უფროსი ოჯახის სუსტად მომეცადინე[illegible] წევრის მცველად გამოდის.

მე შემეძლო დავკმაყოფილებულ[illegible]ვი მხოლოდ ციფრების მოყვანით. ციფრები ცუდი არ არის. 95-96 პროცენტ[illegible] წარმატებულობა კარგია. მაგრამ ციფრებს იქით ნაკლიც იფარება. ეს ნაკლ[illegible] საერთო და დამახასიათებელი რომ ა[illegible] იყოს ყველა ჩვენი უმაღლესი სასწავ[illegible]ლებლისათვის, მას არც აღვნიშნავდ[illegible].

ძალიან დიდი შრომაა საჭირო იმ[illegible]სათვის, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გავზარდოთ. სტუდენტ[illegible] უნდა მოვთხოვოთ ღრმა ცოდნა, კარგ[illegible] დარბაისლური საუბარი, მსჯელობ[illegible] და განზოგადების უნარი, ყველა დისციპლინის ღრმა ცოდნა, განსაკუთრებით კი ცოდნა მარქსიზმ-ლენინიზმისა.

გავზარდოთ მომთხოვნელობა სტუდენტებისადმი; ეს წარმატების ერთ-ერთი თავდებია. თვით სტუდენტი სტუდენტობის დროს მთელი ენერგიით უნდა მუშაობდეს.

აღვუზარდოთ დედა სამშობლოს მაღალკვალიფიციური კადრები — ასეთია უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული ორგანიზაციის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დიდი და თავდადებული მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ სრულყოფილი სპეციალისტი გავზარდოთ. ზემოდასახელებული ფაქტები იმაზეც მეტყველებენ, რომ თეორიული კონფერენციები, საჯარო ლექცია-მოხსენებები, სემინარული მუშაობა და სხვა ჯერ კიდევ მრავალი ნაკლის მატარებელია. სტუდენტების აღზრდის საქმეში ოჯახი ა[illegible] უნდა იყოს დავიწყებული. ოჯახი უ[illegible]რო მეტად უნდა უგდებდეს ყურს, უ[illegible]რო მეტ პასუხისმგებლობას სთხოვდ[illegible] თავის წევრს. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ არის. ხშირად ოჯახი უფროსი ოჯახის სუსტად მომეცადინე[illegible] წევრის მცველად გამოდის.

მე შემეძლო დავკმაყოფილებულ[illegible]ვი მხოლოდ ციფრების მოყვანით. ციფრები ცუდი არ არის. 95-96 პროცენტ[illegible] წარმატებულობა კარგია. მაგრამ ციფრებს იქით ნაკლიც იფარება. ეს ნაკლ[illegible] საერთო და დამახასიათებელი რომ ა[illegible] იყოს ყველა ჩვენი უმაღლესი სასწავ[illegible]ლებლისათვის, მას არც აღვნიშნავდ[illegible].

ძალიან დიდი შრომაა საჭირო იმ[illegible]სათვის, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გავზარდოთ. სტუდენტ[illegible] უნდა მოვთხოვოთ ღრმა ცოდნა, კარგ[illegible] დარბაისლური საუბარი, მსჯელობ[illegible] და განზოგადების უნარი, ყველა დისციპლინის ღრმა ცოდნა, განსაკუთრებით კი ცოდნა მარქსიზმ-ლენინიზმისა.

გავზარდოთ მომთხოვნელობა სტუ[illegible]დენტებისადმი; ეს წარმატების ერთ-ერთი თავდებია. თვით სტუდენტი სტ[illegible]დენტობის დროს მთელი ენერგიით უ[illegible]და მუშაობდეს.

აღვუზარდოთ დედა სამშობლოს მა[illegible]ღალკვალიფიციური კადრები — ასეთია უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული ორგანიზაციის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა.

საყოფაცხოვრებო თემაზე

მივაწოდოთ მომხმარებელს მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია

მომხმარებელთა მზარდი კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში პასუხსაგები ამოცანები აკისრია საქართველოს კოოპინკავშირს. უკანასკნელ ხანს ამ მიმართულებით მთელმა რიგმა არტელებმა და სავაჭრო ქსელმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. კოოპინკავშირმა (პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვ. ქველაძე) მიმდინარე წლის 5 თვის საწარმოო და საქონელბრუნვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

მოწინავეა არტელი „ინსაწკოპი" (თავმჯდომარე ი. თავართქილაძე), არტელი „ინდუსტრია" (თავმჯდომარე გ. ჩხიკვაძე), არტელი „პირველი მაისი" (თავმჯდომარე მ. ზიბლიცკი) და სხვ.

მომხმარებელთა კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კოოპინკავშირის საწარმოებმა წელს აითვისეს და მაღაზიებში გასაყიდად გაგზავნეს რამდენიმე მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი. არტელ „ინსაწკომბინატმა" (თავმჯდომარე ამხ. ჩერნოუსოვი) წარმატებით აითვისა სპეციალური „ყორპის საძირიანი" მოდელის ფეხსაცმლის კერვა. ამ საშუშაოთა შესრულება წარმოებს მექანიზებულად. ახალი მოდელის ფეხსაცმელი მოწონებულია სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ. კოოპინკავშირის სისტემის საწარმოებმა მოსახლეობას მიაწოდეს აგრეთვე ახლად ათვისებული ფართო მოხმარების საგნები: ელექტროჯაღები, ავტომატური საკეტები, შალის ქსოვილი „ბუკლე" და სხვ.

წარმატებები მეტი იქნებოდა, კოოპინკავშირის სისტემის ყველა არტელი და საწარმო რიტმულად რომ მუშაობდეს. გეგმების შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ: არტელი „ინკოლექტივი" (თავმჯდომარე ლ. პეტროსიანი), არტელი „პოლიგრაფი" (თავმჯდომარე ი. რეხვიაშვილი) და სხვ.

ხერიოზული ნაკლოვანებებია არტელ „პროგრესსა" (თავმჯდომარე ს. სტვილია) მუშაობაში. აქ ზოგჯერ მომხმარებელთა მოთხოვნებს ყურს არ უგდებენ, არის თანხების გაფლანგვა-განიავების ფაქტებიც. მექანიკური საამქროს ყოფილ გამგეზე შ. გაბაძაშვილზე 1950 წლიდან ირიცხება 7.326 მანეთის მასალების დანაკლისი. ასეთსავე მდგომარეობაშია ტყავ-გალანტერიის საამქროს ყოფილი გამგის ნ. ხაკოვის, სამკერვალოს ყოფილი გამგის ლ. ბაღდასარიანის და სხვათა საქმეები. კოოპინკავშირის გამგეობა დამნაშავეთა წინააღმდეგ დღემდე რატომღაც არ იღებს გადამჭრელ ზომებს. არტელში საბუხალტრო აღრიცხვა დაბალ დონეზეა.

შრომისა და სასალარო დისციპლინას არღვევენ აგრეთვე არტელ „საბჭოთა კულაშში" (თავმჯდომარე მ. ბათაშვილი). აქ დიდია დებიტორული დავალიანება. არტელის გამგეობა სუსტად იბრძვის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

კოოპინკავშირის ზოგიერთი საწარმო არ იცავს პროდუქციის გამოშვების ასორტიმენტს, არ ითვალისწინებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს.

კოოპინკავშირის სისტემაში დღემდე აქვს ადგილი გაფლანგვა-განიავების შემთხვევებს. სამწუხაროდ, პროკურატურა-სასამართლოს ორგანოები ნაკლებად ეხმარებიან კოოპინკავშირის ხელმძღვანელობას დამნაშავეთა დროულად გამოაშკარავებასა და დასჯაში. ჯერ კიდევ 1951 წლის 28 თებერვალს გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს არტელ „მშენებელის" მუშაკების შ. ასათიანის, ა. შელეგაის, ა. თორაძისა და სხვა დამნაშავეთა საქმე, მაგრამ იგი დღემდე ქიანურდება.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს. ზოგიერთ რაიონში ცალკეული არტელების, საწარმოებისა და სავაჭრო ქსელის მუშაკებისათვის იშვიათად ეწყობა ლექციები, საუბრები და მოხსენებები მათთვის საინტერესო თემებზე. ყველგან არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, არ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება.

კოოპინკავშირის მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმეა მისცენ მომხმარებლებს მეტი მაღალხარისხოვანი პირველი მოთხოვნილების პროდუქცია.

ა. გოცირიძე,
კ. კაჭახიძე.

ზემო ალვანში სკოლის მშენებლობა ჭიანურდება

ხუთი წლის წინათ ზემო ალვანში (ახმეტის რაიონი) საშუალო სკოლის მშენებლობა განახლდა. მშენებლობაზე მიზიდეს დიდძალი ხე-ტყის მასალა, ცემენტი, აგური და სხვ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საჭირო თანხები გამოჰყო. მშენებლობას ხელს თითქოს არაფერი უშლიდა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა, სკოლის კედლები ერთი მეტრის სიმაღლეს არ ასცილებია. ეს არც გასაკვირველია, რადგან 1951 წელს სკოლისათვის განკუთვნილი ცემენტი ხიდის მშენებლებს „ასესხეს", შემდეგ წელს ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების განკარგულებით ზემო ალვანიდან ხე-ტყის მასალა წაიღეს და სკოლების რემონტზე დახარჯეს.

მიმდინარე წელს ზემო ალვანში განათლების სამინისტროს მიერ გაგზავნილი ინჟინერი ჩავიდა, დაწყებული მშენებლობა შეამოწმა, აქტი შეადგინა და თბილისში დაბრუნდა. სამინისტრომ ახმეტის განათლების განყოფილებას თვითსაცლელი ავტომანქანა გაუგზავნა „ზემო ალვანის სკოლის მშენებლობაზე დაგეგმარდებათო". ყველაფერი ისე მიდიოდა, რომ სკოლის მშენებლობა უნდა გაჩაღებულიყო. ამაში დარწმუნებული იყვნენ ზემოალვანელები. მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. მშენებლობას ერთი აგურიც არ მიმატებია.

ზემო ალვანში 1.200-მდე მცხოვრებია. ამ სოფლის საშუალო სკოლაში დადიან აგრეთვე მახლობელი სოფლების ფიჩხოვანის, არგოხის, მაღრაანისა და ბაბანეურის ახალგაზრდები. არსებული შენობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მეცადინეობა სამცვლად წარმოებს. 4 კლასი მოთავსებულია კოლმეურნეთა ბინებში.

განათლების სამინისტრომ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ზემო ალვანში დაწყებული სასკოლო შენობის აგებისათვის.

ს. ჟღენტი,
„კომუნისტის" კორესპონდენტი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე

ბუდაპეშტი, 18 ივნისი. (საკდესი). გუშინ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის დილის სხდომა გაიხსნა გო მოყოს თავმჯდომარეობით. გრძელდებოდა დისკუსია სესიის დღის წესრიგის პირველ პუნქტზე: „მოლაპარაკება და საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელება".

კანადელმა მწერალმა ლილიან ვიენმა შეიტანა წინადადება, რომ მწერლებმა, მხატვრებმა, მეცნიერებმა მოაწყონ ხელმოწერის შეგროვება დიდი სახელმწიფოებისადმი მიმართვაზე იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში იარაღისა და ომის ენამ ადგილი დაუთმოს მოლაპარაკების ენას.

ინგლისელმა მეცნიერმა ბიოქიმიკოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ქიმიის მეცნიერებათა დარგში რიჩარდ სინგმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ამ სესიის მონაწილენი სრულ ერთსულოვნებას იჩენენ მტკიცე მშვიდობის გზის დასახვაში. როგორც სესიის მონაწილეთა გამოსვლებიდან ჩანს, ასეთი გზაა სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების გზა.

საჭიროა, თქვა ორატორმა, კვლავ ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ არ დავუშვათ მსოფლიოს ჩაბმა ომში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ვანდა ვასილევსკაიამ თავისი სიტყვა მიუძღვნა ხალხთა შორის კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის პრობლემებს. საბჭოთა კავშირში, თქვა ვანდა ვასილევსკაიამ, ამ უკანასკნელ წლებში იყო უცხოელთა ასობით დელეგაცია. ისევე როგორც წინათ, მილიონიანი ტირაჟებით იბეჭდება უცხოელ ავტორთა წიგნები და ასობით საბჭოთა თეატრის სცენაზე იდგმება უცხოელ ავტორთა პიესები. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველივე ეს ცოტაა, მით უმეტეს, როცა მშვიდობისადმი მისწრაფება და მეგობრობის გრძნობა სულ უფრო ფართოდ იპყრობს მთელი მსოფლიოს ხალხებს. საბჭოთა დელეგაციას სრული უფლება აქვს განაცხადოს აქ, მშვიდობის საბჭოს სესიაზე, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობის უფართოესი წრეები მზად არიან მნიშვნელოვნად გააფართოონ კულტურული და მეცნიერული კავშირი სხვა ქვეყნებთან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ სესიაზე მოწვეულმა ფრანგმა აბატმა დეპიერმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ მილიონობით ადამიანმა შეიგნო ახლა თავისი პასუხისმგებლობა და თავისი ძალა. ხალხებმა შეიგნეს, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება მათი საქმეა, მათს დარაზმულობაზეა დამოკიდებული.

დეპიერმა ამხილა სიყალბე „ევროპის გაერთიანების" ლოზუნგებისა, რომლებითაც ნიღბავენ მილიტარისტულ გეგმებს, რომელთა ნამდვილი მიზანია ევროპის გათიშვა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრმა, იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა იკუო ოიამამ ილაპარაკა მშვიდობისათვის მოძრაობის ფართოდ გაშლაზე იაპონიაში. კორეაში სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ შეთანხმების დადებამ, თქვა მან, მოსპო უკანასკნელი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას.

იკუო ოიამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დაზავება პირველი ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შესანელებლად, იგი შეერთებულ შტატებს წაართმევდა იაპონიის ოკუპაციის საბაბს.

ამჟამად იაპონიაში, თქვა შემდეგ ოიამამ, სწრაფად იზრდება მოძრაობა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის. მატულობს იმ იაპონელთა რიცხვი, რომლებსაც სულ უფრო ნათლად ესმით, რომ იაპონელი ხალხი იზოლირებული არ არის მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძალები მხარს უჭერენ მის საქმეს. ჩინეთთან და საბჭოთა კავშირთან ნორმალური დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მოთხოვნას სულ უფრო მტკიცედ უჭერს მხარს იაპონელი ხალხი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ეჟენი კოტონმა სიტყვა წარმოთქვა სესიის დღის წესრიგის მეორე პუნქტზე: მშვიდობის მსოფლიო საბჭოს როლი და შემადგენლობა.

ეჟენი კოტონმა განაცხადა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დანიშნულებაა მუდმივი კონტაქტი იქონიოს ხალხებთან, მიაწოდოს მათ ზუსტი ინფორმაცია ყველა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენის შესახებ. ამიტომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო კვლავ უნდა აერთიანებდეს თავის რიგებში სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების პატიოსან ადამიანებს, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანს, სწამთ მისი მომავალი და სურთ მშვიდობის საშუალებით უზრუნველყონ მისი მომავალი. საჭიროა, რომ მშვიდობის საბჭოს ნამდვილი მსოფლიო ხასიათი ჰქონდეს.

ეჟენი კოტონმა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიას გადასცა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში შემავალი 140 მილიონი ქალის, აგრეთვე 70 ქვეყნის ქალთა საქალამი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კოპენჰაგენში ამას წინათ დამთავრებულ ქალთა მსოფლიო კონგრესში.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე უნგრეთის კათოლიკური ეკლესიის არქიეპისკოპოსი ცაპიკი, რუმინეთის დელეგატი დანიელ ლოპოლი, ჩილელი გენერალი კარლოს ვერგარა მონტერო, პაკისტანის გაზეთ „პაკისტან ტაიმსის" გამომცემელი მაზხარ ალი-ხანი და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ მოწვეული იაკობინელთა კლუბის თავმჯდომარე ერნიუ (საფრანგეთი).

მწერლის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრის ხუან მარინელიოს (კუბა) გამოსვლის შემდეგ დ'ასტიე დე ლა ვიჟერიმ სესიის მონაწილეთა განსახილველად შეიტანა პრეზიდიუმის წინადადება შემდგომი მუშაობის წესის შესახებ.

პრეზიდიუმის წინადადებაა შეიქმნას შემდეგი კომისიები:

1) ზოგადპოლიტიკურ საკითხთა კომისია, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს მოლაპარაკებისათვის კამპანიის მოწყობის ზოგადი პრინციპები.

2) კომისია, რომელიც შეიმუშავებს ამ კამპანიის მოწყობის პრაქტიკულ ფორმებსა და მეთოდებს და განიხილავს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს როლს.

3) კულტურული გაცვლის საკითხთა კომისია.

გარდა ამისა, პრეზიდიუმმა წინადადება შეიტანა, 18 ივნისს არ მოეწყოს პლენარული სხდომები და მუშაობა წარმოებდეს კომისიებში. სესიის პლენარული სხდომები უნდა განახლდეს 19 ივნისს დილის მეორე ნახევარში.

პრეზიდიუმის წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

• • •

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის 17 ივნისის საღამოს სხდომაზე, რომელიც საბჭოს ბიუროს წევრის ნ. ტიხონოვის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, პირველი გამოვიდა გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი სატიენ ბოსი (ინდოეთი). მან თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ინდოელი ხალხის დიდი მშვიდობისმოყვარეობა.

შემდეგ სიტყვა მიეცა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს კუმაიცი იამამოტოს, რომელიც ახლა მეთაურობს იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის ხელშემწყობ იაპონიის საზოგადოებას. მან განაცხადა, რომ იაპონიას არ შეუძლია იარსებოს ისე, თუ ჩინეთთან არ ივაჭრა, და იმედი გამოთქვა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიიღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

სესიის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ვიეტნამის წარმომადგენელს ნგუენ კსიუან ტუის. იგი მიესალმა სესიას ვიეტნამის მშვიდობის მომხრეთა სახელით, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ნგუენ კსიუან ტუის მხარი დაუჭირა ჩინეთის დელეგატის გო მო-ჟოს გამოსვლას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ახლანდელი სესიის პირველ დღეს შორეულ აღმოსავლეთის საკითხებზე.

შემდეგ ვიეტნამის წარმომადგენელმა ილაპარაკა ვიეტნამელი ხალხისა და ეხმეირისა და პატეტ-ლაოს ხალხების ბრძოლაზე ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, რომელთაც მხარს უჭერენ შეერთებული შტატები.

შემდეგ გამოვიდა ინგლისის ქალაქ კოვენტრის მუნიციპალიტეტის წევრი, ლეიბორისტი ედვარდ დიქსონი, რომელიც მოწვეულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე. მან თქვა, რომ იგი განსაკუთრებით დაინტერესა ილია ერენბურგის გუშინდელმა გამოსვლამ და კერძოდ ამ გამოსვლის ორმა პუნქტმა: ჯერ-ერთი, პუნქტმა იმის შესახებ, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო მიესალმება ინიციატივას მშვიდობის გზაზე, მსოფლიოს რომელი კუთხიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ეს ინიციატივა, და, მეორე, ინგლისელ საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დამოწმებამ.

ინგლისელი ხალხი, თქვა დიქსონმა, ძლიერ მოხარული იყო, როცა ეს ხელშეკრულება დაიდო. ეს ხელშეკრულება რომ მტკიცედ დაცულიყო, არ იქნებოდა საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობა და პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ცივი ომი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი ჟან ლაფიტი შეეხო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს როლისა და შემადგენლობის საკითხს. ლაფიტმა აღნიშნა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო შექმნა მშვიდობის მომხრეთა მე-2 კონგრესმა ვარშავაში 1950 წლის ნოემბერში. საბჭოს მიზანი იყო — უზრუნველეყო იმის მუდმივი შესაძლებლობა, რომ ხალხები ერთმანეთს შეხვედროდნენ მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს შექმნას, განაგრძო ლაფიტმა, მშვიდობის მომხრეთა ორგანიზებული მოძრაობა შეხვდა, როგორც დიდი მნიშვნელობის ისტორიულ აქტს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო განუხრელად იცავს იმ წესს, რომ არ განიხილოს ამა თუ იმ რეჟიმის, ამა თუ იმ ცხოვრების წესის ღირსებანი და ნაკლოვანებანი. იგი არ ერევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, რომელთა გადაწყვეტის უფლება ამ ქვეყნების მოქალაქეებს ეკუთვნით. მას მიაჩნია, რომ ყველა ქვეყნის ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას აქვს მშვიდობის საერთო სურვილი. იგი ცდილობს იყოს ამ გრძნობის გამომხატველი და დაუცხრომლად ეძებს ისეთ გადაწყვეტილებებსა და კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მშვიდობის მოსურნე ყველა ადამიანის გაერთიანება. საბჭოს გადაწყვეტილებანი ეხება ყველა პრობლემას, რომელთა მოწესრიგებასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ეს გადაწყვეტილებანი მუდამ შეესაბამება ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო გამოდის მხოლოდ მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებათა ინიციატივით, რომელთაც შეუძლიათ ჰპოვონ უკლებლივ ყოველი ხალხის მხარდაჭერა.

მე ვფიქრობ, თქვა შემდეგ ლაფიტმა, რომ მომავალშიც შენარჩუნებულ უნდა იქნას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ეს ხასიათი. შენარჩუნებულ უნდა იქნას ის პრინციპები, რომლებსაც ემყარება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პოლიტიკა და რომლებიც გულისხმობენ ორ დებულებას:

მსოფლიოში არსებულ სისტემებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა და კიდეეაც უნდა იარსებონ ასე;

ყველა უთანხმოება ერთა შორის შეიძლება გადაჭრილ იქნას მშვიდობიანი გზით მოლაპარაკების საშუალებით.

ახლანდელი სესიის ერთ-ერთი ამოცანაა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წარსული პერიოდის როლის სრული გაშუქება. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენივე თავი უნდა მივიჩნიოთ ჭეშმარიტების ერთადერთ მატარებლად ან მშვიდობის ერთადერთ ძალად. მაგრამ ჩვენ პატიოსნად უნდა გავაშუქოთ ის დამსახურება, რაც სამართლიანად ეკუთვნის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს. რატომ არის ეს საჭირო? იმიტომ რომ ჩვენ ჯერ კიდევ სრულიადაც არ შეგვისრულებია ჩვენი ამოცანა, და გამარჯვება ჯერ კიდევ სრული არ არის. თუ ჩვენ არ ვიზრუნებთ ამისათვის, ბევრნი იფიქრებენ, რომ ახლა, შესაძლებელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების სიმპტომების არსებობისას, ყველაფერი თავისთავად შეიცვლება კეთილსასურველად: მთავრობები ადვილად შეთანხმდებიან ერთმანეთს შორის, დიპლომატები განაგრძობენ და დაამთავრებენ ხალხთა მიერ დაწყებულ საქმეს, და რომ ამიტომ, შესაძლოა, აღარ არის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს და მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის არსებობის საფუძველი. ნამდვილად რომ სიფხიზლის ასეთი შესუსტება მომხდარიყო, ამას შეეძლო საბედისწერო შედეგები გამოეწვია მშვიდობის საქმისათვის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საჭირო არ არის ჩვენი წარმატებების მიჩქმალვა, საჭიროა კიდევ უფრო გაგაძლიეროთ ხალხთა რწმენა თავიანთი შესაძლებლობებისადმი და მოვამზადოთ პირობები, რომლებზეც დამოკიდებული იქნება ხვალინდელი წარმატება.

მეორე საკითხი, რომელზეც ილაპარაკა ლაფიტმა, შეეხება მშვიდობის მსოფლიო საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების ურთიერთობას. მან მოითხოვა, რომ კომისიამ, რომელიც იმუშავებს ამ საკითხზე, განიხილოს საშუალებანი უფრო ფართო თანამშრომლობის მიღწევად ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელთაგანაც თვითეულს შეაქვს თავისი სპეციფიკური წვლილი მშვიდობის საქმეში. მე ვფიქრობ, თქვა ლაფიტმა, რომ ეს საშუალება უნდა ვეძებოთ იმ საქმიანობაში, რომელიც გაჩაღდება მოლაპარაკების იდეების დაცვის კამპანიასთან დაკავშირებით.

შემდეგ ლაფიტმა თქვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოში შედიან 70 ქვეყნის წარმომადგენლები და იგი აერთიანებს 296 წევრს. ამ საბჭოში წარმოდგენილი არიან მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი, მრეწველები, მშრომელები, მწერლები, სამხედრო პირნი, პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწენი. მაგრამ დღეს არ შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს შემადგენლობა მთლიანად შეესაბამებოდეს მის ახლანდელ გავლენას. ბევრ ქვეყანაში, როგორც ლაფიტმა აღნიშნა, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა გავრცელდა იმ ძალებზე, რომლებიც ჯერჯერობით წარმოდგენილი არ არიან მშვიდობის მსოფლიო საბჭოში. მეორე მხრივ, მთელ რიგ ქვეყნებში არიან ისეთი ძალები, რომლებიც უკვე დიდი ხანია თანამშრომლობენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოსთან, მაგრამ კონტაქტი არა აქვთ ეროვნულ მოძრაობებთან. ლაფიტმა მოითხოვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამ სესიამ ფართოდ გაუღოს საბჭოს კარი ამ ძალების წარმომადგენლებს.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე პოლონელი მწერალი, სრულიად პოლონეთის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარე იაროსლავ ივაშკევიჩი, გრეტა ფორკჰამერი (დანია), ეგვიპტის წარმომადგენელი სეზა ნაბრავი, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ჟაკ დენი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი ჰოლანდიელი პასტორი ჰუგო ვან დალენი, ისრაელის წარმომადგენელი პოეტი აბრამ შლენსკი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი იოჰანეს ბეხერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ისლანდიის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე კრისტენ ანდრესონი, ირანის სასპორტო კლუბის ხელმძღვანელი მონირ მეპრანი, მედიცინის დოქტორი ანდრეა ანდრეენი (შვეიცია), ისრაელის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენელი პროფესორი აიზენშტადტი, სამხრეთ აფრიკის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის აქტიური მოღვაწე მღვდელი ტომპსონი.

მოსე ივანეს-ძე თოიძე

ბიბლიოგრაფია

საბჭოთა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი მოსე ივანეს-ძე თოიძე.

მ. ი. თოიძე ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ რეალისტურ სახვითს ხელოვნებას და პროფესიულ სამხატვრო განათლებას საქართველოში.

მ. ი. თოიძე დაიბადა თბილისში 1871 წელს. დაწყებითი განათლება მიიღო ერთ-ერთ საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში. გასული საუკუნის 90-იან წლებს ეკუთვნის მისი პირველი შემოქმედებითი ცდები, რომლებსაც რევოლუციური განწყობილების მეჩედი აზის.

სამხატვრო განათლება მ. ი. თოიძემ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო. აქ მასზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა დიდმა რუსმა მხატვარმა ი. ე. რეპინმა. მ. ი. თოიძის სადიპლომო ნამუშევარი „მცხეთობა" ახალგაზრდა მხატვრის არა მარტო პირველი დიდი წარმატება იყო, არამედ ქართულ სახვითის ხელოვნებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილიც.

რევოლუციამდელ წლებში მ. ი. თოიძემ შექმნა ბევრი ნაწარმოები, რომლებიც მიძღვნილია მოწინავე ქართველ საზოგადო და ლიტერატურულ-მხატვრულ მოღვაწეთა სახეებისადმი, ხალხის ცხოვრების თემებისადმი, საქართველოს ბუნების ასახვისადმი. მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მ. თოიძის ის ნამუშევრები, რომლებშიც მან გამოხატა თავისი დამოკიდებულება საქართველოში მზარდი რევოლუციური მოძრაობისადმი.

მ. ი. თოიძის შემოქმედების ნამდვილი გაფურჩქვნის ხანა იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი ქმნის სულ ახალ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია სოციალისტური მშენებლობის ჰეროიკა და რევოლუციური პათოსი, ქმნის ახალ ადამიანთა სახეებს.

მ. ი. თოიძე ქართულ სახვითს ხელოვნებაში საბჭოთა თემატიკის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტი იყო. ამ მხრივ ღირსშესანიშნავია მისი ნაწარმოებნი „შვევმნათ ინდუსტრია", „ჰიმნი შრომისადმი", „ბედნიერი ცხოვრება" და მთელი რიგი სხვა ტილოები. მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით [illegible] მარჯვების მტკიცე რწმენით გამსჭვალულია დიდი სამამულო ომის წლებში შესრულებული მისი ნაწარმოებნი.

ქართველ მხატვართა რამდენიმე თაობა აღიზარდა მ. ი. თოიძის უშუალო ხელმძღვანელობით მის მიერ შექმნილ სახალხო სამხატვრო სტუდიაში (1922-1929), ხოლო შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც იგი პროფესორად მუშაობდა. მ. ი. თოიძის მოწაფეებში სამუდამოდ დარჩება იმ გულისხმიერი დამოკიდებულებისა და ყოველდღიური ზრუნვის ხსოვნა, რომელსაც მხცოვანი მხატვარი ახალგაზრდა კადრებისადმი იჩენდა.

ძნელია გადაჭარბებით შეეფასოთ მ. ი. თოიძის როლი ქართველ მხატვართა კოლექტივის ორგანიზაციულ და შემოქმედებითს ცხოვრებაში. მ. ი. თოიძე საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის მუშაობაში.

მ. ი. თოიძის ნაყოფიერ შემოქმედებითს, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ხალხმა და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს. მას მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება. მ. ი. თოიძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

ქართველ მხატვართა საზოგადოებრიობაში სამუდამოდ დარჩება მ. ი. თოიძის ხსოვნა, ხალხისადმი, მშობლიური ხელოვნებისადმი მისი თავდადებული სამსახურის ხსოვნა.

საქართველოს საბჭოთა
მხატვრების კავშირი.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. გ. ვაჩნაძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. გ. ვაჩნაძის ნეშტი დასვენებულია ხელოვნების მუშაკთა სახლში — მახარაძის ქ. № 8, სადაც 19 ივნისს საღამოს 8 საათზე და 20 ივნისს საღამოს 5 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

გამოსვენება შაბათს, 20 ივნისს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა დიღუბის პანთეონში.

ნ. გ. ვაჩნაძის დაკრძალვა მოხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

მშვიდობის პაქტისათვის!

ჰელსინკი, 18 ივნისი. (საკდესი). გუშინ ფინეთის დედაქალაქის ერთ-ერთ მოედანზე გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მოიწვია ჰელსინკის პროფორგანიზაციების გაერთიანებამ. მიტინგზე გამოვიდნენ სეიმის დეპუტატი მაური რიუემია და მშენებელ მუშათა პროფკავშირის მდივანი ერკკი სალომაა. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს გაუგზავნონ მთავრობას და სეიმს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვენ უარი თქვან ომის მომზადების ღონისძიებებზე, და იბრძვიან იმისათვის, რომ განმტკიცდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. მიტინგის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ფინეთის მთავრობამ მხარი დაუჭიროს მოთხოვნებს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

ჩვენ მოვითხოვთ, ნათქვამია რეზოლუციაში, საქმეები წარმოებდეს ხალხის უმრავლესობის ინტერესების შესაბამისად. ჩვენ მოვითხოვთ არა იარაღის შესყიდვას, არამედ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, არა სამხედრო მანევრებს, არამედ მშვიდობის პოლიტიკასა და მეგობრობას ფინეთსა და საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებსა და ხალხებს შორის!

მიტინგზე მიღებულ იქნა აგრეთვე ტექსტი დეპეშისა, რომელიც გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერს და მოითხოვს არასამართლიანად მსჯავრდებულ ცოლ-ქმარ როზენბერგების განთავისუფლებას.

საფრანგეთის მშრომელთა საგაფიცვო ბრძოლა

პარიზი, 16 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, დღეს დაიწყო საავიაციო კომპანიის „ერ-ფრანსის" საფრენოსნო და სახმელეთო პერსონალის 24 საათის გაფიცვა როგორც საფრანგეთში, ისე ჩრდილოეთ აფრიკაში.

გაფიცვაში მონაწილეობს 10 ათასი კაცი, — იმ პროფკავშირთა წევრი, რომლებიც შედიან შრომის საყოველთაო კონფედერაციაში, „საფრანგეთის ქრისტიან შრომელთა კონფედერაციაში", „ფორს უ

კორეის ამგეგი

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 17 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საჰაერო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მხოლოდ ელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 და დაახიანეს 3 თვითმფრინავი.

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების გამო

პეკინი, 17 ივნისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

17 ივნისს ორივე მხარის დელეგაციებმა გამართეს დახურული სხდომა. სხდომის შემდეგ მუშაობას განაგრძობდნენ ორივე მხარის შტაბის ოფიცერთა ორი ჯგუფი და მეკავშირე ოფიცრები.

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ვილსონმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: არსებული მონაცემები მოწმობენ, რომ კორეაში მალე დაიდება დროებითი ზავი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ვილსონმა, უპასუხა რა შეკითხვებზე, განაცხადა, რომ დროებითი ზავის დადების შემდეგ ექვსი თვე ან მეტი იქნება საჭირო, სანამ ამერიკის ჯარები იქნებიან გამოყვანილი.

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ არსებული ცნობებით გაერთიანებული ერებისა და კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ დროებითი ზავის დადების შესახებ მოლაპარაკებაში, მიაღწიეს შეთანხმებას იმ ხაზის საკითხში, რომელმაც დროებითი ზავის ხელმოწერის შემდეგ უნდა გაყოს კორეაში მყოფი არმიები.

ირანის ეროვნული ეკონომიკის მინისტრის განცხადება

თეირანი, 17 ივნისი. (საკდესი). გაზეთებში „რანგინ-ქიამანსა“ და „ქეიხანში“ გამოქვეყნებულია ირანის ეროვნული ეკონომიკის მინისტრის ახავის საუბარი საბჭოთა კავშირ-ირანის ახალ სავაჭრო შეთანხმებაზე.

„საბჭოთა კავშირთან ახალი სავაჭრო ოქმის ხელმოწერა, — განაცხადა ახავიმ, — საქონელბრუნვის მოცულობის გადიდების გამო ეფექტიან გავლენას მოახდენს ირანის ეკონომიურ მდგომარეობაზე“.

ახავიმ დასძინა, რომ ეს შეთანხმება „გავლენას მოახდენს ირანის სავაჭრო ბალანსზე, რადგან წარსულ წლებთან შედარებით ახალი შეთანხმება მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ირანის საჭიროებებს“.

„ირანის ახლანდელი სავალუტო სიძნელეების დროს, — ხაზგასმით აღნიშნავს ახავი, — ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის კლირინგის საფუძველზე საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება დიდად შეუწყობს ხელს ვალუტის დაკარგვის თავიდან აცილების საქმეს“, ხოლო ის ფაქტი, რომ „საბჭოთა კავშირის სიახლოვე ირანთან არ მოითხოვს ფრახტის დიდი თანხების გადახდას, უდავოა, ხელსაყრელ გავლენას მოახდენს საქონლის ფასებზე“.

ირანსა და საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების პერსპექტივების საკითხზე ახავიმ განაცხადა: „ირანი განუწყვეტლივ უნდა ახმარდეს მთელ ძალღონეს იმას, რომ განავითაროს საქონელგაცვლა საბჭოთა კავშირთან და სხვა მეზობელ ქვეყნებთან და ამით კიდევ უფრო გააფართოოს თავისი სავაჭრო ურთიერთობა, რადგან, გარდა ძველი მეგობრობისა, რაც კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობაა, სავაჭრო ურთიერთობის განვითარება ჩვენს დიდ მეზობელთან ორივე ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება“.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების არსებობის მე-10 წლისთავის დღესასწაული

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. (საკდესი). 16 ივნისს ნიუ-იორკის კლუბში „კლაბ სინემაში“ დაიწყო ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების არსებობის მე-10 წლისთავის დღესასწაული. კლუბში გაიხსნა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს მიერ მოწყობილი ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ მიღწევებს. ფოტოსურათების მნიშვნელოვანი ნაწილი გვიჩვენებს სსრ კავშირის მშვიდობიან მშენებლობას ომისშემდგომ წლებში.

მეორე გამოფენა მიძღვნილია ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმოშობისა და ათი წლის საქმიანობისადმი, რომელიც მძიმე პირობებში განაგრძობს თავის მუშაობას და რომლის მზანია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება. გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი განცხადება იმის შესახებ, რომ საჭიროა განმტკიცდეს მეგობრობა და თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის. ეს განცხადებები გააკეთეს ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებმა მეორე მსოფლიო ომის დროს. გამოფენის მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმ დეპეშის პირი, რომელიც 1945 წლის ნოემბერში მიიღო ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულმა საბჭომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი პრეზიდენტის გენერალ ეიზენჰაუერისაგან.

კლუბში იყიდება ინგლისურ ენაზე თარგმნილი საბჭოთა მწერლების წიგნები, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული წიგნები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების, მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. იყიდება აგრეთვე სხვადასხვა ბიულეტენები, რომლებიც აშუქებენ სსრ კავშირის მშვიდობიან საგარეო და საშინაო პოლიტიკას და ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისტორიას.

16 ივნისს კლუბში გაიმართა საბავშვო დილა, რომელზეც აჩვენებდნენ საბჭოთა ფილმს „მეგბადურისა და თევზის ზღაპარი“. საღამოს გაიმართა მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი ჯონ კინგსბერი, ჟურნალ „ნიუ-იორკელ რევიუს“ რედაქტორი ჯესიკა სმიტი და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვენ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ყველა სადავო საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას, ორივე ქვეყანას შორის უფრო მჭიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარებას, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

ჩაიუშა უცხოეთის დაქირავებული აგენტების ავანტიურა ბერლინში

ბერლინი, 17 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბერლინის დემოკრატიული სექტორის ზოგიერთ საწარმოში, კერძოდ მშენებელ მუშათა შორის იყო მუშაობის გაჭიანურების ფაქტები. მუშაობის შეწყვეტის სანაბი გახდა ის, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ზოგიერთ საწარმოში გამომუშავების ნორმები გაადიდეს ათი პროცენტით, თუმცა ეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 16 ივნისს გაუქმა. მაგრამ ნორმების გადიდება მხოლოდ სანაბი იყო პროვოკატორებისათვის — დასავლეთ ბერლინში მოკალათებული უცხოელი აგენტებისათვის, რათა მოეწყოთ მუშაობის გაჭიანურება საწარმოებში და გამოხდომები ბერლინის ქუჩებში.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 17 ივნისს დღისით გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დასავლეთ ბერლინის ფაშისტურმა და სხვა რეაქციულმა ელემენტებმა უპასუხეს პროვოკაციებით და წესრიგის სერიოზული დარღვევით ბერლინის დემოკრატიულ სექტორში.

ამ პროვოკაციებმა უნდა გააძნელონ გერმანიის ერთიანობის აღდგენა. ბერლინში მშენებელი მუშების მიერ მუშაობის შეწყვეტა საბაბი მოიხსნა ნორმების საკითხზე გუშინდელი გადაწყვეტილების შედეგად.

მომხდარი უწესობა უცხო სახელმწიფოების პროვოკატორთა და ფაშისტ აგენტთა და გერმანიის კაპიტალისტურ მონოპოლიებში მოკალათებულ მათ ხელშემწყობთა საქმეა. ეს ძალები უკმაყოფილო არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიული ხელისუფლებით, რომელიც აუმჯობესებს მოსახლეობის მდგომარეობას. მთავრობა მოუწოდებს მოსახლეობას:

1. მხარი დაუჭიროს ქალაქში წესრიგის დაუყოვნებლივ აღდგენის ღონისძიებებს და შექმნას პირობები საწარმოებში ნორმალური და დამშვიდებული მუშაობისათვის.

2. ისინი, ვისაც დანაშაული მიუძღვის არეულობაში, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული და მკაცრად დასჯიან. მუშებს და ყველა პატიოსან მოქალაქეს მუდმივად დაეკავონ პროვოკატორები და გადასცენ ისინი სახელმწიფო ორგანოებს.

3. საჭიროა, რათა მუშები და ტექნიკური ინტელიგენცია ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით თვითონ იღებდნენ საჭირო ღონისძიებებს მუშაობის ნორმალური მსვლელობის უზრუნველსაყოფად“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამ განცხადებას მოსახლეობისადმი ხელს აწერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეო�o.

იმავე დღეს, საღამოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ ჩაიფუშა უცხოეთის დაქირავებული აგენტების ავანტიურა ბერლინში. ამ განცხადებაში ნათქვამია:

„მაშინ როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ახალ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელების გზით გაუმჯობესოს მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, მოსყიდული ელემენტები, უცხო სახელმწიფოთა აგენტები და მათი ხელშემწყობნი გერმანელ მონოპოლისტთა წრეებიან შეეცადნენ ჩაეფუშათ მთავრობის ღონისძიებანი.

გამორკვეულია, რომ გაფიცვები, რომლებიც გუშინ მოხდა ზოგიერთ საწარმოში, აგრეთვე ფაშისტ აგენტთა ცალკეული ჯგუფების პროვოკაციული გამოხდომები ბერლინის დემოკრატიული სექტორის ქუჩებში, ხორციელდებოდა დასავლეთ ბერლინში შემუშავებული და გარკვეული მომენტისათვის გათვალისწინებული ერთიანი გეგმით. ექსცესები დამთავრდა წამოწყებული ავანტიურის სრული ჩაფუშვით, რადგან წაიწყდა მოსახლეობის დიდი ნაწილისა და ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგობა.

საწარმოებში აღადგენენ ნორმალურ მუშაობას. ქუჩებში დაცულია წესრიგი. პროვოკატორთა და სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტთა არავითარი გამოხდომა არ იქნება დაშვებული.

ჩაიფუშა უცხოეთის აგენტების საზიზღარი ცდა ხელი შეეშალათ მთავრობის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ჩაიფუშა აგრეთვე ცდა — მოეხდინათ არევ-დარევა, რათა ახალი დაბრკოლება შეექმნათ გერმანიის ერთიანობის აღდგენის გზაზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გადამწყვეტ ღონისძიებებს მიიღებს, რათა მკაცრად დასისჯონ ისინი, ვისაც დანაშაული მიუძღვის უწესოებაში. პროვოკატორებს არ უნდა ჰქონდეთ პატიების იმედი“.

ბრაზილიის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო. რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, ბრაზილიის სავაჭრო ფლოტის 8.000 მეზღვაურმა, ოფიცერთა ჩათვლით დაიწყო გაფიცვა და მოითხოვს ხელფასის გადიდებას და მუშაობის პირობების გაუმჯობესებას.

გაფიცვამ, რომელშიც მონაწილეობენ საკაბოტაჟო და საოკეანო გემების ეკიპაჟები, მთელი ნაოსნობა შეაჩერა.

ხელოვნების ქრონიკა

გორის თეატრის სპექტაკლები

გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი სტალინირელ მაყურებელთა დამსახურებული სიყვარულით სარგებლობს. უკანასკნელ ხანებში აქ ორჯერ იყვნენ გორელი მსახიობები. მათ სტალინირის სახელმწიფო თეატრში დადგეს ა. ოსტროვსკის „უეცარი სიმდიდრე“ და ა. აბაშილავას და ი. ჯავახიშვილის „ვაზისუბნელი ძმაბიუბები“. ორივე სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. (საკ. კორ.).

გასტროლები ყვარელში

ყვარლის რაიონს საგასტროლოდ ეწვია კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრი (დირექტორი ვ. საჩალელი, მთავარი რეჟისორი გ. პატარიძე).

თეატრმა ყვარლის კულტურის სახლში დადგა პიესები: დ. ჩშეგლოვის „გამოქცევა“, მ. ბარათაშვილის „მარინე“, ვ. პატარაიას „სანაპიროზე“ და სხვ.

სპექტაკლებმა მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ჭიათურის სახელმწიფო თეატრის გასტროლები მახარაძეში

მახარაძე. (საკ. კორ.). აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრი. თეატრის კოლექტივი მახარაძეში 21 ივნისამდე დარჩება და მახარაძელ მაყურებელს უჩვენებს თავის საუკეთესო დადგმებს: ი. ჭავჭავაძის — „ოთარაანთ ქვრივს“, მუხთაროვის — „ალანის ოჯახს“, ო. ვასილიევის — „ამქვეყნიურ სამოთხეს“, ლოპე-დე-ვეგას — „თივა და ავ ძაღლს“, ვ. გაბესკირიას — „გაზაფხულის ღილას“, მ. ბარათაშვილის — „მარინეს“, ს. კლდიაშვილის — „დაბრუნებას“, ა. წერეთლის — „თამარ ცბიერს“, ა. ცაგარლის — „ციმბირელს“ და რ. ჭორქიას — „მაიას წყაროს“.

თეატრის კოლექტივს განზრახული აქვს მოაწყოს პარალელური დადგმები საკოლმეურნეო სოფლების მშრომელთათვისაც.

12 ივნისს თეატრმა მახარაძელ მაყურებელს უჩვენა პირველი სპექტაკლი — ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ **ცხაკაიაში შედგა მკითხველთა და კორესპონდენტთა კონფერენცია** რაიონული გაზეთის „ავანგარდის“ მე-2000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით. გაზეთის მუშაობისა და მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა რედაქტორმა ამხ. ვ. წარიღვამ. კონფერენციაზე გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს გაზეთის როგორც დამაკმაყოფილებელი მუშაობა, ისე მისი ზოგიერთი სერიოზული ნაკლი.

⊙ **დღითიდღე უფრო კულტურული ხდება** ტყიბულის მშრომელთა ცხოვრება. რაიონის ცენტრსა და სოფლებში მუშაობს 3 პროფკავშირული და 9 სასოფლო კლუბი, 19 ბიბლიოთეკა, 8 სამკითხველო. ამ ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების წიგნის ფონდი 90 ათას ეგზემპლარზე მეტს შეიცავს.

⊙ **ქობულეთის რაიონის აჭყვისთავის** სასოფლო საბჭოს ედნოვის სახელობის კოლმეურნეობაში შენდება ახალი საშუალო სკოლის შენობა. სკოლის 16 საკლასო ოთახი ექნება. მშენებლობა ახალი სასწავლო წლისათვის დამთავრდება.

⊙ **ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის** სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მ. გორკის პიესა „მზის შვილები“. დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს თ. ლორთქიფანიძეს, მხატვრობა — დ. თაყაიშვილს.

⊙ **ლაგოდეხის კულტურის სახლის** დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ი. მოსაშვილის პიესა „ჩაძირული ქვები“. პიესა დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ნ. დეისაძემ, მხატვრულად გაფორმა ა. დუნდუკოვამ. „ჩაძირული ქვები“ დაიდგმება შორმის, აფენის, ვარდისუბნის და ბაისუბნის სასოფლო კლუბებში.

⊙ **წითელწყაროს რაიონულმა კულტურის სახლმა** მოაწყო შეხვედრა პოეტ იოსებ ნონეშვილთან. პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნ. ჭაბუკიანმა. მისალმებებით გამოვიდნენ ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

თბილისი

სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები

მეორე დღე

გუშინ, 18 ივნისს, შედგა სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მორიგ საგასტროლო სპექტაკლი. ნაჩვენები იქნა რუსული კლასიკური მემკვიდრეობის ერთ-ერთი პოპულარული პიესა — ა. ნ. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“ (რეჟისორი-დამდგმელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ჭელიძე, მხატვარი ა. ვერულეიშვილი, კომპოზიტორი ო. თევდორაძე).

მთავარი როლები შეასრულეს: ი. დონაურმა (ოტრადინა-კრუჩინინა), რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა მ. ჩუბინიძემ (დუდუკინი), ს. გამრეკელმა (მუროვი), მსახიობებმა ტ. ხორავამ (შმაგა), თ. ოქროპირიძემ (გალჩიხა) და ახალგაზრდა მსახიობებმა ზ. ლაფერაძემ (ნეზნამოვი), ს. ყანჩელმა (კორინკინა), ო. კობერიძემ (მილოვზოროვი), ქ. დოლიძემ (შელავინა).

სპექტაკლმა თბილისის მაყურებლის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

რესპუბლიკური ჩემპიონატი წყალბურთში. სურათზე: შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

მ. გორკის ხსოვნის აღსანიშნავი დილა

დიდი რუსი მწერლის მ. გორკის გარდაცვალების ჩვიდმეტი წლისთავის აღსანიშნავად ქვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მ. გორკის სახელობის პარკში მოეწყო მხატვრული დილა.

მოხსენება — „მ. გორკის ცხოვრება და მოღვაწეობა“ წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ნიკოლაძემ. შემდეგ დაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მხატვრულმა ბრიგადამ, მ. გორკის სახელობის კლუბთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა და ინსტრუმენტალურმა ანსამბლებმა, ტრიკოტაჟის კომბინატის საბავშვო თვითმოქმედმა ანსამბლმა.

ნ. გ. ჩერნიშევსკის დაბადების 125 წლისთავის აღნიშვნისათვის

დიდი რუსი მოაზროვნისა და რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლის ნ. გ. ჩერნიშევსკის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოში შექმნილია კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გ. ლეონიძე (თავმჯდომარე), ნ. მუსხელიშვილი, გ. ჯიბლაძე, ს. ჭილაია, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, პ. ინგოროყვა, შ. რადიანი, გ. ნატროშვილი, ლ. ასათიანი, ა. ბარამიძე, დ. ყალანდაძე, ა. ქუთელია, ბ. ჟღენტი, დ. ბენაშვილი, შ. აფხაიძე, გ. აბზიანიძე, ე. ქარელიშვილი, ლ. ყალანდაძე.

კომისიის მიერ გათვალისწინებულია მიმდინარე წლის 24 ივლისს მოეწყოს ნ. გ. ჩერნიშევსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო საიუბილეო საღამო.

მოხსენებას — „ნ. გ. ჩერნიშევსკის ცხოვრება და შემოქმედება“ — გააკეთებს ამხ. გ. ჯიბლაძე.

ინდივიდუალური სახლების მშენებლობა

თბილისის საბჭოს აღმასკომმა ლენინის რაიონში ერთსართულიანი 5-ოთახიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები გამოუყო სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „ტემპის“ მხერხავ მუშას გიორგი ჭინჭარაშვილს და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშას ნიკოლოზ ეჭიზაშვილს, ორჯონიკიძის რაიონში ვაჟთა მე-10 საშუალო სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს ლენინის ორდენსან ქეთევან გუგუტაშვილს, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს რაჟდენ კიკვიძეს, თადარიგის პოდპოლკოვნიკს გრიგოლ ენუქიძეს და სხვებს.

ქალაქის ერთიანი ბიბლიოთეკა

„დინამოს“ წყალბურთელთა გამარჯვება

გუშინ თბილისის ფიზკულტურის პარკის წყალსაცურაო აუზში დამთავრდა საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშება წყალბურთში.

თბილისის დინამოელებმა ხუთი შეხვედრიდან ხუთივე მოიგეს და დამსახურებულად მოიპოვეს საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის წოდება წყალბურთში. მეორე ადგილზე გამოვიდა ბათუმის პირველი გუნდი (4 მოგება, 1 წაგება), მესამეზე — სუხუმის „დინამო“ (3 მოგება, 2 წაგება).

ჩემპიონს — თბილისის „დინამოს“ საზეიმოდ გადაეცა ჯილდო — თასი. დინამოელი წყალბურთელები მონაწილეობას მიიღებენ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების წყალბურთელთა ტრადიციულ ასპარეზობაში, რომელიც გაიმართება ბაქოში.

საქაღალდე და რესპუბლიკური თასის გათამაშება ფრენბურთში

თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თასის გათამაშება ფრენბურთში. გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად ერთმანეთს ეცილებოდა ქალთა და ვაჟთა 20 გუნდი.

ქალთა გუნდებს შორის ფინალში თამაშობდნენ „ნაუკას“ და თბილისის განათლების განყოფილების ფრენბურთელთა კოლექტივები. გიმარჯვეს „ნაუკას“ სპორტსმენებმა ანგარიშით 3:0.

ვაჟთა გუნდებს შორის გადამწყვეტი შეჯიბრება გაიმართა ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის ფრენბურთელთა კოლექტივებს შორის. გიმარჯვეს რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის სპორტსმენებმა ანგარიშით 3:1. საქალაქო შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გადაეცათ გარდამავალი ჯილდოები.

* * *

ამავე სტადიონზე მოეწყო საქართველოს თასის გათამაშება ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ბათუმის, სუხუმისა და ფოთის გუნდებმა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ თბილისის „ნაუკას“ ქალთა და „ლოკომოტივის“ ვაჟთა გუნდები, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს სუხუმისა და ბათუმის გუნდები ანგარიშით 3:0.

საქართველოს თასის გათამაშებაში გამარჯვებული ფრენბურთელთა კოლექტივები მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონალურ შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართება თბილისში 24-დან 28 ივნისამდე.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 29 ივნისს დღის 12 საათზე № 25 აუდიტორიაში (III კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 11), ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მარიამ ანტონის ასული გაბაკი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Приспособительные изменения содержания фосфатидов в мышцах“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი **ვ. ასათიანი**, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **მ. ზაალიშვილი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 29 ივნისს დღის 3 საათზე № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბოდო ნიკოლოზის-ძე კარტოზია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**ისტორიული მატერიალიზმის საკითხები კ. მარქსის და ფ. ენგელსის შრომაში — „გერმანული იდეოლოგია“.**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **კ. ბაქრაძე**, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი **ს. სახაროვი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

19 ივნისს	დ. თორაძე— **მშვიდობისათვის** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით).
20 ივნისს	დ. დელიბი — **ლაქმე**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1953 წლის 30 ივნისს დღის 2 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასხდომო დარბაზში (ძერჟინსკის ქ., № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე **აბელ იასონის-ძე კიკვიძე** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში (ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა)**“.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ხაჟაპაურიძე**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ნ. მახარაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ., № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 29 ივნისს დღის 12 საათზე № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ალექსანდრე სერგოს-ძე ბენდიანიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**რაჭის მაზრის სოფელი 1900-იან წლებში (ს. წესი)**“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი **პ. გუგუშვილი**, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი **ა. კიკვიძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მ. ი. თოიძის სახელობის თბილისის პროფესიული განათლების № 11 სამხატვრო სასწავლებლის დირექცია, ოსტატ-მასწავლებლები და მოსწავლეები იუწყებიან სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ **მოსე ივანეს-ძე თოიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვერა, შვილები შალვა, გია, ნუნუ, დედა პელაგია, დები მერი, თინა, ძმა გრიგოლ ოჯახებით იუწყებიან **დიმიტრი გერასიმეს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-VI, 8 ს. გამოსვენება 20-VI, 5 ს. 6. ნიკოლაძის შესახ. № 2/4,

---

ნიკოლოზ გვახარია, ნოდარ მგალობლიშვილი, გიორგი გვერდწითელი იუწყებიან **ვახტანგ ვლადიმერის-ძე რობიტაშვილის** გარდაცვალებას.

ქალაქის I საავადმყოფოს ბავშვთა კლინიკა და გაერთიანებული ბავშვთა პოლიკლინიკების ექიმები იუწყებიან **მირიან ჭეფხოძის** გარდაცვალებას.

მიხა რამიშვილი მეუღლით ლიზა ღლონტით იუწყება ბიძაშვილის **დიმიტრი გერასიმეს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას.

ვაჟთა მე-16 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება **ილია ბესარიონის-ძე კორძაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამინისტროს პარტიული ბიურო და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი იუწყებიან სამინისტროს კოლეგიის წევრის **დიმიტრი გერასიმეს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას.

გ. ინასარიძე, ნ. შაშიკაშვილი, ნ. პეტრიაშვილი, ე. მესხი, თ. ქვანია, ლ. ჩიქობავა, ლ. ბეჟანიშვილი, ა. აფაქიძე, მ. ნინიძე, თ. გიუნაშვილი იუწყებიან დოცენტ **მერი ლეჟავას** გარდაცვალებას.

შვილი ნატალია, შვილიშვილი ნიკოლოზ ამირაჯიბი იუწყებიან **სოფო ვასილის ასულ ვახვახიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-VI, 8 ს. გამოსვენება 20-VI, 5½ ს. პეტრიაშვილის შესახ. № 6.

მშობლები ეკატერინე, ვარლამ, მეუღლე თამარ, შვილები არჩილ, მაია, და ეთერ, სიძე ამირან ხავთასი იუწყებიან **ვლადიმერ ვარლამის-ძე ჩხენკელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-VI, 8 ს. გამოსვენება 21-VI, 6 ს. უნივერსიტეტის ქ. № 50.

სამტრესტის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან სამტრესტის ტექქიმიური კონტროლის განყოფილების უფროსს **ოთარ სერგის-ძე გელაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეკატერინ